პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 281 (5382) | შაბათი, 10 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ახალგაზრდა კომუნისტთა იდეური აღზრდა და გამობრძმედა („პრავდის" მოწინავე)
მატერიალიზმი და იდეალიზმი (მე-2 გვ.)
ალ. მაშაშვილი — საკ. კ. პ (ბ) ისტორია და ქართული მწერლობის ამოცანები (ფელეტონი. მე-3 გვ.)
საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება (მე-3 გვ.)
რაიონული პარტაქტივის კრებები (მე-3 გვ.).

უცხოეთში:
საფრანგეთ - გერმანიის მოლაპარაკების შემდეგ (1-ლი გვერდი)
საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა (1-ლი გვ.)
საფრანგეთის პარლამენტის საგანგებო სესია (1-ლი გვ.)
საომარი მოქმედების მიმოხილვა ესპანეთში (მე-4 გვ.)
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.)
მდგომარეობის გაუარესება და ფაშისტური ტერორი გერმანიაში (მე-4 გვ.).

ახალგაზრდა კომუნისტთა იდეური აღზრდა და გამობრძმედა

ინდივიდუალური მიდგომის მეთოდის მტკიცედ დაცვით, ნამდვილ მოწინავე ადამიანთა შერჩევით ბოლშევიკების პარტიამ მიღების განახლების დაწყებიდან თავის რიგებში მიიღო 350.000-ზე მეტი ახალი კანდიდატი და დაახლოებით 150.000 წევრი. ეს დიდი არმიაა და იგი ბოლშევიკურად უნდა აღვზარდოთ.

ბოლშევიკურ პარტიაში შესვლა სერიოზული მოვლენაა, დიდი გარდატეხაა თვითეული ადამიანის ცხოვრებაში. კომუნისტური პარტია დისციპლინის, ორგანიზებულობისა და იდეურობის განსახიერებას წარმოადგენს. იგი ძლიერია ყველა თავისი წევრის ნებისყოფისა და მოქმედების ერთიანობით. კომუნისტი— ეს საბჭოთა სახელმწიფოს მოწინავე მოღვაწეა, რომელიც შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშს გვიჩვენებს, იგი არის სოციალიზმის აქტიური და თავდადებული მშენებელი, რომელიც თავის სიცოცხლეს მთლიანად კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას ანდომებს.

„ჩვენ, კომუნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, როგორც პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი. ყველას როდი შეუძლია იყოს ასეთი პარტიის წევრი. ყველას როდი შეუძლია გაუძლოს ასეთი პარტიის წევრობასთან დაკავშირებულ გაჭირვებასა და ქარიშხალს" (სტალინი).

პარტია თვითეულ თავის წევრს უმნიშვნელოვანეს მოვალეობას აკისრებს. საკ. კ. პ. (ბ) წესდება კომუნისტისაგან მოითხოვს, რომ იგი იცავდეს უსასტიკეს პარტიულ დისციპლინას, აქტიურ მონაწილეობას იღებდეს პარტიისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, პრაქტიკულად ატარებდეს პარტიის პოლიტიკას და პარტიულ ორგანოთა გადაწყვეტილებებს, დაუღალავად მუშაობდეს თავისი იდეური შეიარაღების ამაღლებაზე, ყველგან და ყოველთვის იყოს ავანგარდული მებრძოლი. საკ. კ. პ. (ბ) წევრი და კანდიდატი — შრომისადმი ნამდვილი სოციალისტური დამოკიდებულებისათვის ავანგარდული მებრძოლი — თვალის ჩინივით უფრთხილდება სოციალისტურ საკუთრებას, შეურიგებელია შრომის დისციპლინის დამრღვევებისადმი.

უნდა დავეხმაროთ ახალგაზრდა კომუნისტებს შეიგრძნონ და ღრმად შეითვისონ თავისი მოვალეობანი და ბოლშევიკური პარტიის ტრადიციები.

ზრუნავს რა თავის წევრთა აღზრდაზე, პარტიამ მის რიგებში ყველა შემსვლელისათვის დააწესა სერიოზული გამოცდა—საკანდიდატო სტაჟი, „რომლის მიზანია პარტიის პროგრამის, წესდებისა და ტაქტიკის საფუძვლიანი გაცნობა და კანდიდატის პირად ღირსებათა შემოწმება". ბოლშევიკური პარტიის პროგრამისა და წესდების საფუძვლიანი გაცნობა — პარტიის თვითეული კანდიდატის მოვალეობაა.

პარტიული რიგების განუწყვეტელი ზრდა ყველა პარტიული ორგანიზაციის წინაშე სახავს მთელ რიგ სერიოზულ ამოცანებს. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 14 ივლისის დადგენილებაში ნათქვამია: „ყველა პარტორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მუშაობა პარტიის რიგებში ახლად შესულებთან, ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდა ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით და მათი მიზიდვა, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში". უნდა დავეხმაროთ პარტიაში შემსვლელთ იგრძნონ უპარტიოობიდან ბოლშევიკურ ორგანიზებულობაზე გადასვლის მთელი პასუხისმგებლობა, აღვზარდოთ მათში ბოლშევიკის თვისებანი — უდიდესი ერთგულება თავისი პარტიისადმი, მისი ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი, შეურიგებლობა და დაუნდობლობა მტრებისადმი, მტრის გამოცნობის უნარი, რარიგ ოსტატურადაც არ უნდა ინიღბებოდეს იგი, პრინციპულობა, უშიშროება და შეუპოვრობა პარტიის დავალებათა განხორციელების საქმეში, ჩავუნერგოთ ბოლშევიკური ჩვევები პრაქტიკულ მუშაობაში.

ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტი მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კომუნისტთა აღზრდას ჩვენი პარტიის გიგანტური გმირული გამოცდილების მიხედვით, „რომლის მსგავსიც არ ჰქონია და არცა აქვს არცერთ პარტიას მსოფლიოში". საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია მძლავრი იარაღია ახალგაზრდა კომუნისტების აღსაზრდელად მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა გვამდიდრებს სოციალიზმისათვის ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხების მიერ წარმოებული ბრძოლის გამოცდილებით.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა, მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა მტერთან, მშრომელთა ყველა მტერთან ჩვენი პარტიის ბრძოლის ისტორიის შესწავლა გვეხმარება **ბოლშევიზმის დაუფლებაში**, გვიმაღლებს პოლიტიკურ სიფხიზლეს.

ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის შესწავლა გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ცოდნით.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა განგვიმტკიცებს ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენას, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების რწმენას" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი").

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" აღუდგენს, გაუძლიერებს კომუნისტებს რწმენას თავისი ძალებისადმი და მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერების დაუფლების უნარისადმი. გადაჭრით უნდა გადავლახოთ ის შიში, რომელსაც ზოგიერთი კომუნისტი იჩენს რევოლუციური თეორიის დამოუკიდებელი შესწავლის წინაშე. ყველა კომუნისტისათვის მათს თეორიულ სწავლებაში დახმარების გაწევასთან ერთად, პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით უნდა მოეკიდონ ახალგაზრდა ამხანაგებს.

ამხანაგი სტალინი არაერთხელ მიგვითითებდა, რომ კადრები იბრძმედებიან სიძნელეებთან ბრძოლაში, რომ მხოლოდ ის კადრებია კარგი, რომლებსაც არ ეშინიათ სიძნელეებისა და უკან არ იხევენ მათ წინაშე. კომუნისტი იზრდება თავისი პრაქტიკული და პოლიტიკური საქმიანობის პროცესში, იგი იბრძმედება მშრომელთა მტრებთან ბრძოლაში: პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციები უფრო გაბედულად აბამდნენ ახალგაზრდა ბოლშევიკებს პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მუშაობაში, აძლევდნენ მათ კონკრეტულ დავალებებს, რომელთა შესრულების დროსაც ამხანაგები შესძლებდნენ გაზრდილიყვნენ იდეურად, შეეთვისებინათ ბოლშევიკური ორგანიზებულობისა და პარტიული დისციპლინის პრინციპები. ზოგიერთი პარტიული მუშაკი ამ ამოცანას არაჩვეულებრივი სიადვილით სჭრის. ისინი მექანიკურად, ფორმალურად „გასწერენ" ხოლმე კომუნისტებს შორის დავალებებს და ანგარიშს არ უწევენ ამხანაგების პირად თვისებებს, მოთხოვნილებებს. ჩვეულებრივ ეს ხდება იმ პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც პარტიული მუშაკები იშვიათად ხვდებიან ახალ კომუნისტებს, არ არიან დაინტერესებული იმით, თუ როგორ ცხოვრობენ, სწავლობენ და მუშაობენ ამხანაგები.

სრულიად შეუწყნარებლად ეკიდებიან ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდას ქალაქ ყაზანის ლენინის პარტრაიკომის ხელმძღვანელები. ბევრ ახალგაზრდა ამხანაგს აქ სრულიად არა აქვს პარტიული დავალებანი, ისინი თავს გრძნობენ პირველადი ორგანიზაციებისაგან მოწყვეტილად. როდესაც კი ცალკეული კომუნისტები დავალებებს მიიღებენ — პარტკომების მდივნები და პარტორგები არასაკმაოდ ეხმარებიან მათ პარტიული დავალებების შესრულებაში. ბოლოს, ლენინის რაიკომი 3—5 თვეობით აგვიანებს პარტიული დოკუმენტების მიცემას ახალგაზრდა კომუნისტებისათვის.

იქ კი, სადაც ახალგაზრდა კომუნისტებს ყურადღებით, გულისხმიერად ეკიდებიან, ისინი სწრაფად ებმებიან პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, იზრდებიან ამ მუშაობაში.

ჟდანოვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის (გორკის ოლქი) პარტკომის მდივანი ამხ. პოგოდინი ყოველდღიურად დაინტერესებულია პარტიაში ახლახან მიღებულ ამხანაგთა საზოგადოებრივი და საწარმოო მუშაობით, ზრუნავს მათს იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაზე. მაგალითად, პარტკომმა გაიგო, რომ ახალგაზრდა კომუნისტ ქალს ამხ. გორდიმოვას სულითა და გულით უნდა გახდეს აგიტატორი, მაგრამ ცოტას შიშობს. ამხ. პოგოდინი მოელაპარაკა მას, აღუთქვა დახმარება. გაზეთების პირველი კითხვისა და საუბრის დროს ამხ. გორდიმოვასთან მივიდნენ პარტკომის წევრები. კითხვა და საუბარი კარგად ჩატარდა. ყურადღებით ფრთებშესხმულმა ამხ. გორდიმოვამ ბეჯითად იწყო მუშაობა თავის თავზე. ახლა იგი კარგი აგიტატორია თავის საამქროში.

ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის პასუხისმგებელია ის პარტიული კოლექტივი, რომლის წევრებიც ისინი არიან. სისხლსავსე, იდეური, ნაკადივით მჩქეფარე პარტიული ცხოვრება, მთელი პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის მაღალი დონე ქარხანაში, ფაბრიკაში, დაწესებულებაში ან კოლმეურნეობაში — უმთავრესი პირობაა პარტიის ახალ კანდიდატთა და წევრთა სწრაფი პოლიტიკური ზრდისათვის. ახალგაზრდა ამხანაგები მით უფრო მალე გახდებიან პარტიული ცხოვრების აქტიური მონაწილენი, რაც უფრო ფართოდ გაიშლება ორგანიზაციაში შინაპარტიული დემოკრატია, თვითკრიტიკა და პარტიული მუშაობის ყველა საკითხის საქმიანი განხილვა.

ყოველდღიური ზრუნვა ახალგაზრდა ბოლშევიკთა იდეურ-პოლიტიკურ ზრდასა და სტალინურ გამობრძმედაზე—ყველა პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

„პრავდის" მოწინავე, 9/XII.

როგორ მოხდა თვითმფრინავ „როდინას" ევაკუაცია

გუშინ „იზვესტიის" რედაქცია პირდაპირი მავთულით დაუკავშირდა ამურის კომსომოლსკს. აპარატთან მოვიდა ამხ. ტერ-მარქარიანი, რომელიც ხელმძღვანელობდა თვითმფრინავ „როდინას" ევაკუაციას ძირდაშვების ადგილიდან კომსომოლსკში, იმ თვითმფრინავს, რომლითაც ქალთა ეკიპაჟი საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. ვ. გრიზოდუბოვას, პოლინა ოსიპენკოს და მარინა რასკოვას შემადგენლობით გადაფრინდა მოსკოვ—შორეული აღმოსავლეთის მარშრუტით. როგორც ცნობილია, თვითმფრინავი ძირს დაეშვა ტაიგის ჭაობში და მისი ევაკუაცია გადაიდო ყინვების დაწყებამდე.

— დაიწყო თუ არა ყინვები,— სთქვა ამხ. ტერ-მარქარიანმა, —ჩვენ შევუდექით „როდინას" ევაკუაციაზე მუშაობას. ოქტომბრის დამლევს მფრინავმა გენიევმა თვითმფრინავ „მპ-1-ით" მდინარე ამგუნზე მოიყვანა ბრიგადა ბორტმექანიკოს ბოგდანოვის მეთაურობით. დაბა კამენკიდან ბრიგადა დაიძრა „როდინასაკენ" ქვეითად. ყოველივე, რაც კი საჭირო იყო ბრიგადისათვის—საკვები, ლოგინი; ინსტრუმენტები—კომსომოლსკიდან მოჰქონდათ თვითმფრინავებით. „როდინას" მახლობლად გაჩნდა მთელი ბანაკი პატარა რადიოსადგურით.

ბრიგადის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ „ფეხზე" დაეყენებინათ თვითმფრინავი, რომელიც აკრეფილი თვლებით ჩაჯდა ჭაობში, გადაეყვანათ იგი თხილამურზე და გაემზადებინათ გასაფრენად. დაიწყო შემოწმება მთელი მატერიალური ნაწილისა, რომელიც ჩინებულად იყო შენახული ძირდაშვების დღიდან. განსაკუთრებულ სიძნელეს 45-გრადუსიანი ყინვის დროს მოტორების შემოწმება და ამუშავება წარმოადგენდა. მთელი ტვირთი, რომელიც „როდინას" ბორტზე იყო, ამხ. გენიევმა კომსომოლსკში გადაზიდა.

5 დეკემბერს, სტალინური კონსტიტუციის დღეს, აგუგუნდა „როდინას" მძლავრი მოტორები. მფრინავმა ნაუმოვმა პირველი პილოტის ადგილი დაიკავა და 16 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით თვითმფრინავი „როდინა" გაექანა წინდაწინ მომზადებულ „აეროდრომზე" და აფრინდა. მას თან ახლდა თვითმფრინავი „მპ-1". თვითმფრინავმა „როდინამ" რამდენიმე მისალმებელი წრე გააკეთა ბანაკის თავზე და აიღო გეზი კომსომოლსკისაკენ.

ცუდი ხილვადობა აიძულებდა მას ეფრინა 3 ათასი მეტრის სიმაღლეზე. მიუხედავად მძიმე საფრენი პირობებისა, „როდინას" მოტორები და ყველა აგრეგატი უნაკლოდ მუშაობდა. აფრენიდან ნახევარი საათის შემდეგ სრულ 17 საათზე, სახელგანთქმული თვითმფრინავი ძირს დაეშვა კომსომოლსკში.

(„იზვესტია", 9 დეკემბერი).

თვითმფრინავი „როდინა" კომსომოლსკს მიფრინდა

ამურის კომსომოლსკი, 7 დეკემბერი (საკდესი). თვითმფრინავი „როდინა", რომელიც დაშვების ადგილიდან 5 დეკემბერს აფრინდა, იმავე დღეს მოფრინდა კომსომოლსკს. აფრენა და დაშვება კარგად ჩატარდა. მატერიალური ნაწილი უნაკლოდ მუშაობდა.

ყინულმჭრელ „სედოვის" დრეიფი

ყინულმჭრელ „სედოვის" ბემბანი, 7 დეკემბერი (საკდესის სპეცკორის რადიო) სტალინური კონსტიტუციის დღეს სედოველები შეხვდნენ შორეული არქტიკის ყინულებს შორის. ძლიერი ქარბუქი იყო. ქარი ქარიშხლად იქცა და ცხრა ბალს აღწევდა.

გემი ბაირაღებით მოირთო. ეკიპაჟი ყურადღებით ისმენდა სადღესასწაულო რადიოგადაცემას. საღამოს ყველა დაესწრო კინოსურათის დემონსტრაციას.

გუშინ შუადღისას ქარიშხალი ჩადგა, ქარი შემცირდა 4 ბალამდე. ტემპერატურა — მინუს 14 გრადუსი. დღისით „სედოვის" რაიონში დაიწყო ყინულის მოძრაობა, გაჩნდა ახალი ნაპრალები. შუადღისას კოორდინატები შემდეგი იყო—ჩრდილოეთის განედის 85 გრადუსი და 39 წუთი, აღმოსავლეთის გრძედის 131 გრადუსი და 42 წუთი.

ბეკასოვი.

ნიუ-იორკში (აშშ) შესდგა სხვადასხვა საწარმოთა მუშების, უმუშევრების და მათი ოჯახის წევრების დემონსტრაცია, **სურათზე:** დემონსტრაციის მონაწილენი ნიუ-იორკის ქუჩებში. პლაკატებზე წარწერები: „მოგვეცით სამუშაო", „მიეცით ტანსაცმელი მუშების ბავშვებს". (საკდესის ფოტოქრონიკა).

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების შემდეგ

პარიზი, 8 დეკემბერი (საკდესი). დღეს რიბენტროპი პარიზიდან გერმანიაში გაემგზავრა.

საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციას და მოლაპარაკებას, რომელსაც რიბენტროპი აწარმოებდა პარიზში, კვლავ იხილავენ პარიზის პოლიტიკურ წრეებსა და პრესაში. არა მარტო მემარცხენე პრესა, არამედ მემარჯვენე გაზეთების საგრძნობი ნაწილიც საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციასა და მოლაპარაკებაში, რომელიც ბონესა და რიბენტროპს შორის სწარმოებდა, ხედავს გერმანიის დიპლომატიის მანევრს, რომლის მიზანია ხელი გაუხსნას გერმანიას ევროპის აღმოსავლეთში, შეასუსტოს საფრანგეთ-ინგლისის კავშირი და საფრანგეთის კავშირი საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან.

ამასთან ანრი დე კერილისი გაზეთ „ეპოკში" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიისა და იტალიის მთავრობები შეთანხმებულად ეწევიან თამაშს. იგი აღნიშნავს აგრეთვე, რომ საფრანგეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციები იტალიაში სრულიადაც არ არის შემთხვევითი მოვლენა. მათი მიზანია ნიადაგი მოუმზადონ საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობის გართულებას იმ მომენტში, როცა ფაშისტური გერმანია თავის ოინებს დაიწყებს აღმოსავლეთ ევროპაში პოლონეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

როგორც ტაბუი აღნიშნავს „ევროში", „გერმანიის ხელმძღვანელ წრეებში აცხადებენ, რომ ევროპის მომავალი კრიზისისათვის საბაბს იტალია გამონახავს".

საერთოდ, საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს საკმაოდ ნათლად აქვს წარმოდგენილი ფაშისტური ქვეყნების ბლოკის აგრესიული პოლიტიკის მნიშვნელობა საფრანგეთისათვის. კერძოდ, გუსტავ ერვე „ვიქტუარში" სწერს: „საფრანგეთისათვის მათრახის გადაჭირების შემდეგ, რაც გამოიხატა რეინის ოლქის ოკუპაციით და გერმანიის მიერ ავსტრიისა და სუდეტის რაიონების დაპყრობით, ახლა ცდილობენ მიაძინონ საფრანგეთის ყურადღება ჰიტლერის მიერ ევროპის აღმოსავლეთში დიდი ოპერაციის დაწყების წინ". „თავისთავად ცხადია, — განაგრძობს ერვე,—ჩვენ რომ უპატიოსნება და სისულელე ჩაგვედინა და ხელი აგვეღო ჩვენს რუმინელ მეგობრებზე, ჩვენს კავშირზე პოლონეთთან და ჩვენს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტზე, მაშინ იძულებული ვიქნებოდით შეგვეცა იტალიელებისათვის ჩვენი სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციები, კორსიკა, ტუნისი და მთელი ჩვენი ჩრდილოეთ აფრიკა".

საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა

ლონდონი, 8 დეკემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ მოსთხოვა გერმანიის მთავრობას — გამოაცხადოს მობილიზაცია იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთისა და იტალიის ურთიერთდამოკიდებულება გამწვავდება. კორესპონდენტის სიტყვით, ჩიანომ გერმანიის ელჩს მაკენზენს განუცხადა, რომ იტალია პირდაპირ პარალელს ატარებს ჩეხოსლოვაკიისა და ტუნისის კრიზისებს შორის.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებში, — სწერს კორესპონდენტი,—აცხადებენ, რომ იტალია მზად არის ომისათვის, რათა დაიბრუნოს თავისი „დაკარგული ტერიტორიები". გერმანიის ფაშისტთა წრეებს განზრახვა აქვთ მხარი დაუჭირონ იტალიას ამ საკითხში, რადგან ისინი იმ რწმენიდან გამოდიან, რომ გერმანიის კოლონიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებაც მხოლოდ ძალის გამოყენებით არის შესაძლებელი. გარდა ამისა, ისინი ჰფიქრობენ: იტალია-საფრანგეთის მომავალი შეტაკების ლოკალიზება რომ შესაძლებელი იყოს და იტალია რომ საფრანგეთს დაამარცხებდეს, მაშინ მთელი რიგი სხვა ტერიტორიული საკითხები (ელზას-ლორენის, შვეიცარიისა და სხვათა შესახებ) თავისთავად გადასწყდებოდა.

რომში ჰფიქრობენ, განაგრძობს კორესპონდენტი, რომ მიუხედავად იმ გაფრთხილებისა, რაც ინგლისის ელჩმა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისცა, ინგლისი არ ჩაერევა საფრანგეთ-იტალიის კონფლიქტში.

რეპრესიები ჟუოს წინააღმდეგ

პარიზი, 8 დეკემბერი (საკდესი). „ჟურნალი ოფისიელი" და გაზეთი „მატენი" ბეჭდავენ ფინანსთა მინისტრის განკარგულებას შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის ჟუოს საფრანგეთის ბანკის გენერალური საბჭოს წევრის პოსტიდან გადაყენების შესახებ.

საფრანგეთის პარლამენტის საგანგებო სესია

პარიზი, 8 დეკემბერი (საკდესი). დღეს 15 საათზე გაიხსნა დეპუტატთა პალატის სესია. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის—ერიოს შეკითხვაზე დალადიემ განაცხადა, რომ მთავრობა ითხოვს დაუყოვნებლივ განიხილონ ყველა ინტერპელაცია, რომლებიც ეხება მთავრობის საერთო პოლიტიკას.

ალბერ სეროლმა პალატის სოციალისტური ჯგუფის სახელით განაცხადა, რომ ის მთავრობის მეთაურის წინადადებას ეთანხმება, მაგრამ საჭიროდ სთვლის, რომ ინტერპელაციები, რომელთაც მხედველობაში აქვთ ეკონომიური, სოციალური და საფინანსო პოლიტიკა და რომლებიც შემოტანილია სოციალისტური ჯგუფის მიერ, განხილული იქნას როგორც ინტერპელაციები, რომლებიც მთავრობის საერთო პოლიტიკას ეხებიან.

შემდეგ კომუნისტური ჯგუფის სახელით გამოვიდა ჟაკ დიუკლო და მოითხოვა, რომ ერთდროულად განხილულ იქნას კომუნისტური ჯგუფის მიერ შეტანილი ინტერპელაციები.

15 საათსა და 30 წუთზე სხდომა შესწყდა. დაიწყო საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირი.

○

პარიზი, 9 დეკემბერი (საკდესი). დეპუტატთა პალატის საგანგებო სესიის გუშინდელი სხდომის დასასრულს გამოვიდა სოციალისტი დეპუტატი მარსელ რეჟი. მან სასტიკად გააკრიტიკა მთავრობის საფინანსო პროგრამა და განაცხადა, რომ მთავრობა აქეზებს კაპიტალისტებსა და სპეკულანტებს და ახალ ტვირთს აკისრებს მშრომელებს.

შემდეგ გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი ჟაკ დიუკლო. დიუკლომ მოაგონა დამსწრეთ, რომ დალადიემ ორჯერ მიიღო საგანგებო რწმუნებანი და ეს საგანგებო რწმუნებანი მის მიერ მოცემულ დაპირებათა სრულ საწინააღმდეგოდ გამოიყენა. დალადიე შეეცადა განხეთქილება მოეხდინა ქვეყანაში იმ დროს, როდესაც საერთაშორისო კრიზისი მოახლოვდა. საფრანგეთს მსხვილ კაპიტალისტთა 200 ოჯახი განაგებს და სწორედ ისინი არიან საგანგებო დეკრეტებისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ რეპრესიების პოლიტიკის შემომქმედნი.

დიუკლომ მთავრობის მეთაურს ახლანდელი საქმეები მის წინანდელ განცხადებებს დაუპირისპირა და დაგვანახვა, რომ ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. დიუკლომ აღნიშნა, რომ ახლა მთავრობა ეჟრდნობა შეთქმულთა აღდგენილ ფაშისტურ ლიგებს, კერძოდ „საფრანგეთის სოციალურ პარტიას" (დე ლა როკის „მებრძოლი ჯვრების" ორგანიზაციის ახალი აბრა). მაგრამ საფრანგეთს სურს რესპუბლიკური მთავრობა, რომელიც არ ხურავს ფაბრიკებს, რომელიც ინარჩუნებს მშვიდობიანობას, იბრძვის ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მისი ღირსებისათვის.

დასასრულ დიუკლო აცხადებს, რომ „სახალხო ფრონტის რჩეულთა მოვალეობა ნათელია. ხმას აძლევენ რა მთავრობის წინააღმდეგ, ისინი ეუბნებიან მას: „მოგვშორდით!"

სსრ კავშირის ორდენების გადაცემა

7 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა პრეზიდიუმის მთელი რიგი წევრების თანადასწრებით გადასცა ორდენები წითელი არმიის დაჯილდოებულ მებრძოლთ, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს.

ლენინის ორდენები და სიგელები საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ მიეცათ: კაპიტან დ. ტ. ლევჩენკოს, უმცროს მეთაურს ა. ი. ტიმაკოვს, ლეიტენანტ გ. ა. ბატარშინს, ლეიტენანტ ი. დ. ჩერნოპიატკოს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან საბრძოლო ამოცანების სანიმუშოდ შესრულებისათვის და იმ გმირობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს ხასანის ტბის რაიონის დაცვის დროს. ხასანის ბრძოლის სახელოვან მონაწილეთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა კაპიტანმა ამხ. ლევჩენკომ.

შემდეგ ლენინის ორდენი და სიგელი საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ გადაეცა პოლკოვნიკ ა. ი. გუსევს, რომელიც დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის თავდაცვის ძლიერების განმტკიცების საქმეში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სამაგალითო შესრულებისათვის და გმირობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა.

შემდეგ მიხეილ ივანეს-ძემ ჯილდოები გადასცა ხასანის ტბის რაიონში მომხდარ ბრძოლების მონაწილეთ — მაიორს ამხ. იაკუბოვიჩს, ბრიგადის მეთაურს ამხ. იასკინს, უმცროს მეთაურებს ამხ. ნემიროვსკის, გოლიანოვს, ტოკარევს, სუხარევს, წითელარმიელებს ამხ. ქუჩინოვს, კორობკინს და სხვებს. ორდენებს იღებენ აგრეთვე ამხანაგები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან შესანიშნავი წარმატებებისათვის წითელი არმიის შენაერთების, ერთეულებისა და ქვედანაყოფთა საბრძოლო, პოლიტიკური და ტექნიკური მომზადების დარგში.

ორდენები მიიღეს აგრეთვე ყინულმჭრელ „კრასინის" უფროსმა მექანიკოსმა ამხ. ბონდიკმა, წითელფლოტელმა, ამხ. გუსევმა, ჰიდროგრაფიული გემის „მურმანის" უფროსმა მეცეცხლურმა ამხ. ზუევმა, რსფსრ სახალხო არტისტმა მ. პ ლილინამ და ა. მ. მალცევმა, რომელიც დაჯილდოებულია შესანიშნავ წარმატებებისათვის უხვ მოსავლიანი და გრძელბოჭკოვანი ბამბის ჯიშების შექმნისა და მოშენების საქმეში.

ამხ. მ. ი. კალინინმა გულმხურვალედ მიულოცა დაჯილდოებულ ამხანაგებს. (საკდესი).

ჯამბულის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო

მოსკოვი, 8 დეკემბერი (საკდესი). კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში დღეს შესდგა ყაზახეთის სახალხო მგოსნის ორდენოსანი ჯამბულ ჯაბაევის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. ჯამბული სტუმრად არის ჩამოსული მოსკოვში.

საღამო გაიხსნა მწერალ ლეონიდე სობოლევის შესავალი სიტყვით. მან აუდიტორიას გააცნო ყაზახური პოეზია და ისტორია აკინებისა — სახალხო მგოსან - იმპროვიზატორებისა, რომელთა საუკეთესო, უნიჭიერესი წარმომადგენელია 93 წლის ჯამბული.

დამსწრენი გულმხურვალედ შეხვდნენ უხუცეს სახელგანთქმულ აკინს.

მოსკოველმა და ყირგიზმა პოეტებმა და მსახიობებმა წაიკითხეს ჯამბულისადმი მიძღვნილი ლექსები და მისი ლექსების თარგმანი. საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით პოეტმა ჰასემ ლახუტიმ ჯამბულს მიართვა მოქარგული ნაციონალური ხალათი, ხალხური შემოქმედების კრუპსკაიას სახელობის სახლისაგან — ა. ს. პუშკინის პორტრეტი, შესრულებული ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკის მხატვრის სერეჟენკოს მიერ.

კონვეიერიდან ჩამოღებულია მე-500 ათასე მანქანა

გორკი, 7 დეკემბერი (საკდესი). 4 დეკემბერს ღამით მოლოტოვის სახელობის ქარხნის მთავარი კონვეიერიდან ჩამოიღეს მე-500-ათასე ავტომანქანა.

გორკის ავტოქარხანამ, რომელიც 1932 წლის იანვარში ამუშავდა, პირველ წელსვე მისცა ჩვენს ქვეყანას 7.511 მანქანა, ხოლო 1937 წელს მან გამოუშვა სხვადასხვა ტიპის 135.718 ავტომანქანა.

ამჟამად მიმდინარეობს მეორე რიგის ახალი საამქროების მშენებლობა. მათი ამუშავების შემდეგ მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანამ ყოველწლიურად უნდა მოგვცეს ნახევარი მილიონი ავტომობილი.

სომხეთის მწერლები შევჩენკოს სამშობლოში

ხარკოვი, 8 დეკემბერი (საკდესი). აქ სომხეთიდან ჩამოვიდნენ მწერალი არაზი და პოეტი სარიანი, რომელნიც სომხურ ენაზე სთარგმნიან შევჩენკოს ნაწარმოებს.

სარიანმა „კობზარიდან" სთარგმნა 8 ათასი სტრიქონი. წიგნი გამოვა მომავალ წელს შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავისათვის.

რეპრესიები მუშათა კლასის წინააღმდეგ საფრანგეთში

პარიზი, 8 დეკემბერი (საკდესი). გაზეთი „სე სუარი" იუწყება, რომ ვალენსიენში (ჩრდილო საფრანგეთი) გაფიცვას განაგრძობს 15 ათასი მელითონე. უაღრესად ძლიერი მღელვარება ემჩნევათ ვალენსიენიდან 2 კილომეტრზე არსებულ ანზენის ქვანახშირის რაიონის მაღაროელებს. საწარმოთა ადმინისტრაციამ გაფიცვაში მონაწილეობისათვის სამუშაოდან დაითხოვა დიდი ოჯახით დატვირთული ბევრი მაღაროელი მუშა. ნამდვილად კი გაფიცვაში მონაწილეობა მხოლოდ საბაბია, რათა გაუსწორდნენ მოწინავე და უფრო აქტიურ მუშებს.

ლიონში რამდენიმე მუშას გაფიცვაში მონაწილეობისათვის 1-დან 4 თვემდე პატიმრობა მიუსაჯეს. ასე, მაგალითად, მუშებს—სანდორსა და ბუფანეს მიესაჯათ: პირველს—1 თვის, ხოლო მეორეს—4 თვის პატიმრობა იმისათვის, რომ ისინი საგაფიცვო პიკეტში იმყოფებოდნენ.

გაფიცვის მონაწილეთათვის გამოტანილი სასამართლო განაჩენები აღშფოთებას იწვევს მუშათა შორის.

ჰიტლერისა და ჰერინგის მომავალი ჩასვლა დანციგში

ლონდონი, 8 დეკემბერი (საკდესი). როგორც გაზეთ „დეილი ჰერალდის" დანციგელი კორესპონდენტი იუწყება, ამა თვის მეორე ნახევარში მოელიან ჰიტლერისა და გერინგის ჩასვლას დანციგში. ადგილობრივი ფაშისტები ზომებს იღებენ, რათა ფაშისტთა მეთაურების ჩასვლისათვის დანციგი „არასასურველი ელემენტებისაგან" გასწმინდონ.

ებრაელთა დევნა სლოვაკიაში

პრაღა, 8 დეკემბერი (საკდესი). სლოვაკიის მთავრობის მინისტრმა დურჩანსკიმ ერთერთ წინასაარჩევნო კრებაზე განაცხადა, რომ სლოვაკიის მთავრობა ჰფიქრობს ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეობის უფლება წაართვას 50.000 ებრაელს, რომლებიც ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დასახლდნენ სლოვაკიაში.

ინგლისის პრესა იტალიაში ანტიფრანგული კამპანიის შესახებ

ლონდონი, 8 დეკემბერი (საკდესი). „დეილი მეილის" რომაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ მოხდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოს ახალი შეხვედრა გერმანიის ელჩ მაკენზენთან. ამ უკანასკნელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ გერმანია სავსებით მხარს უჭერს იტალიის მთავრობის კოლონიურ პრეტენზიებს.

„ნიუს-ქრონიკლის" პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ნოემბრის შუა რიცხვებში იტალიის კონსულები საფრანგეთიდან გაიწვიეს რომში და მიღებულ იქნენ პირადად მუსოლინის მიერ. მუსოლინიმ განუცხადა მათ, რომ იტალიის მთავრობას სურს, რათა საზღვარგარეთ მცხოვრები იტალიელები სამშობლოში დაბრუნდნენ, და რომ საკონსულოები ყოველი ღონისძიებით უნდა ეცადნენ ამის მიღწევას. კონსულებს გადაეცათ მუსოლინის მიერ პირადად ხელმოწერილი ცირკულარი, რომელიც შეიცავს სათანადო ინსტრუქციებს ამის შესახებ. ცირკულარში ნათქვამია, რომ „საფრანგეთი, როგორც დიდი სახელმწიფო, უკვე აღარ არსებობს" და რომ „იტალია მალე იქნება ჰეგემონი ხმელთაშუა ზღვაზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური შეჯიბრება სოფ. შემოქმედის და „ნოვი აზოვის" კოლმეურნეობებს შორის

უსაზღვრო სიხარულმა მოიცვა მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, როდესაც ჩვენ გვეწვივნენ ძვირფასი სტუმრები უკრაინის მოძმე რესპუბლიკიდან და „ნოვი აზოვის" კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მარფა კიბამ მიიღო ჩვენი ვამოწვევა სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ.

მოძმე უკრაინის რესპუბლიკის კოლმეურნეებთან შეჯიბრებამ ჩვენს კოლმეურნეობაში დიდი საწარმოო ენტუზიაზმი გამოიწვია. ერთიორად ვაიზარდა შრომის ნაყოფიერება, კიდევ უფრო განმტკიცდა დისციპლინა, გაიშალა ახალი სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებს, ჯგუფებს, სტახანოველებსა და ცალკე კოლმეურნეთა შორის.

კოლმეურნეთა საერთო კრებამ, რომელსაც 800 კოლმეურნე დაესწრო, აღფრთოვანებით მიიღო ახალი დამატებითი ვალდებულებანი: კოლმეურნეთა საერთო კრებამ იკისრა ვალდებულება სიმინდის მოსავალი ნაცვლად 12 ცენტნერისა მომავალ წელს აიყვანოს 16 ცენტნერამდე, ყველა კოლმეურნე გახადოს თავდაცვა-ავიაქიმის წევრი, მოამზადოს 200 ვოროშილოვისებური მსროლელი, 1939 წელს გააშენოს ციტრუსოვანთა ახალი პლანტაცია 10 ჰექტარზე ნაცვლად 5 ჰექტარისა, გააშენოს 6 ჰექტარი ვენახი, თხილის საერთო მოსავალი მომავალ წელს აიყვანოს 50 ტონამდე ნაცვლად 37-38 წლის 30 ტონისა, ღვინის საერთო მოსავალი აიყვანოს 2000 ფუთამდე ნაცვლად 37-38 წლის 1200-ისა.

„ნოვი აზოვის" კოლმეურნეობასთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ჩვენი კოლმეურნეობის წევრები წარმატებით ასრულებენ. სოფელში უკვე დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც 300 ცხენის ძალის სიმძლავრე ექნება. 22 ნოემბერს 600 კოლმეურნე, ქალი და კაცი, გამოვიდა ელსადგურის მშენებლობაზე, და საფუძველი ჩაეყარა სოცშეჯიბრებაში გათვალისწინებულ ამ დიდ სამუშაოს.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ჩაისა და ციტრუსების საშემოდგომო სამუშაოების ვადაზე შესასრულებლად. კოლმეურნეობას და კოლმეურნეებს მთლიანად გამოსყიდული აქვთ მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები 25.000 მანეთის რაოდენობით. წარმატებით მიმდინარეობს მდინარე ბჟუჟზე ხიდის მშენებლობა, რომელიც ერთი მილიონი მანეთი ჯდება.

სოფ. შემოქმედის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ.

ე. წიქარიძე.

მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

თამბაქოს დამზადება

„საქთამბაქონედლეულის" ცნობებით, მიმდინარე წლის მოსავლიდან 5 დეკემბრისათვის საქართველოში დამზადებული იყო სულ 6.601 ტონა თამბაქო — წლიური გეგმის 42,4 პროცენტი. აქედან დეკემბრის პირველ ხუთდღიურში დამზადდა 611,1 ტონა — თვიური გეგმის 19,6 პროცენტი.

გეგმის შესრულებაში ყველაზე უფრო ჩამორჩენილია აფხაზეთის ასს რესპუბლიკა. წლიური გეგმით გათვალისწინებული 7.752 ტონიდან აქ 5 დეკემბრისათვის მხოლოდ 2.436,1 ტონა თამბაქო იყო დამზადებული, ანუ გეგმის 31,4 პროცენტი. დეკემბრის პირველ ხუთდღიურში თვიური გეგმა აფხაზეთმა მხოლოდ 14,6 პროცენტით შესრულა.

ცალკე რაიონების მიხედვით თამბაქოს დამზადების წლიური გეგმის შესრულება შემდეგ სურათს იძლევა: აჭარის ასს რესპუბლიკას წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შესრულებული ჰქონდა 57,4 პროცენტით, ლაგოდეხის რაიონს—54,1-ით, სიღნაღს—43,9-ით, წითელწყაროს—58,3-ით, ყვარელს—56,3-ით, გურჯაანს — 76,4-ით, ბორჩალოს—54,5-ით, ლუქსემბურგს — 53,9-ით, ზუგდიდს — 50,9-ით, ჩხოროწყუს—53,3-ით და ჩოხატაურს—48-ით.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველოში 3.290 ტონით მეტი თამბაქოა დამზადებული ვიდრე შარშან, აღებული ტემპები მაინც არადამაკმაყოფილებელია. სამეურნეო წლის დამთავრებამდე დღეები დარჩა. ეს გარემოება ავალებს მეთამბაქოობის რაიონებს ვადაჭრით გააძლიერონ მუშაობის ტემპები და უზრუნველჰყონ თამბაქოს დამზადების გეგმების მთლიანად შესრულება ვადაზე და ხარისხის მტკიცედ დაცვით.

თამბაქოს დამზადების 4 თვის გეგმა შესრულებულია

ლაგოდეხი, 9 დეკემბერი (ტელეგრაფით). 1938 წლის თამბაქოს მოსავლის დამზადების სექტემბრის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის გეგმა ლაგოდეხის რაიონისათვის დაწესებული იყო 1826 ტონის რაოდენობით. 7 დეკემბრისათვის თამბაქოს დამზადების 4 თვის გეგმა შესრულებული იყო 101 პროცენტით.

ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის დირექტორი

ვლ. გეგენავა

მივიწყებული მტს-ი

(საქმიწსახკომის საყურადღებოდ)

დუშეთის სამანქანო-სატრაქტორო სადგური მოწყობილია ბაზალეთის ტბის პირას, რომელიც ქალაქ დუშეთიდან 8 კილომეტრით არის დაშორებული.

მტს-ს კაპიტალური ნაგებობანი არ გააჩნია. სახელოსნო მოუწყობელია.

აღნიშნულ სახელოსნოში ტრაქტორის ზამთრის რემონტის ჩატარება შეუძლებელია, რადგან ერთდროულად მასში ორი ტრაქტორი ძლივს თავსდება.

მალე მთელი სატრაქტორო პარკი რემონტში უნდა ჩადგეს, მტს-ი კი საამისოდ სრულიად მოუმზადებელია. სახელოსნო მომარაგებული არ არის სათანადო ინსტრუმენტებით, რემონტზე მომუშავეებისათვის არ არის ბინა. საერთოდ მტს-ის მუშამოსამსახურენი უვარგის ბინებში ცხოვრობენ.

აღნიშნული მდგომარეობის შესახებ საკითხი მტს-ის დირექციამ არაერთხელ დასვა საქართველოს მიწსახკომის და დუშეთის რაიონული ორგანიზაციების წინაშე, მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორებულა. საქართველოს მიწსახკომი ერთი წელია გვპირდება მტს-ის მოხერხებულ ადგილზე გადატანას და მის კეთილმოწყობას, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება.

საქართველოს მიწსახკომმა და მარცვლეულ კულტურათა სამმართველომ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ დუშეთის მტს-ს და შეუქმნან მას მუშაობის ნორმალური პირობები.

ს. ძეგისაშვილი

დუშეთის მტს-თან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის პარტორგი.

თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" სტახანოველი ქალი ინსტრუქტორად დაწინაურებული ამხ. ო. შკრება (მარცხნივ) თავისი მუშაობის მეთოდებს აცნობს ახალგაზრდა მუშა-ქალებს.

ფოტო გ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

კონსულტაცია

მატერიალიზმი და იდეალიზმი*

იდეალიზმი, იდეალისტური ფილოსოფია ყოველთვის დაკავშირებული არიან რელიგიასთან, ხუცობასთან, ყოველთვის ასე თუ ისე რეაქციული არიან, იცავენ რეაქციული კლასების საქმეს.

ფილოსოფიურ იდეალიზმს გარდუვალად მივყევართ ხუცობისაკენ, ეს არის ნამდვილი გზა რელიგიური ბნელეთისმოციქულობისაკენ. იდეალიზმი და რელიგია ერთდაიგივენი, ერთნაირნი არიან მთავარში, ძირითადში. ფილოსოფიური იდეალიზმიც და ხუცობაც გამოდიან იქიდან, რომ რეალურად არსებობენ მხოლოდ იდეები, სული, ღმერთი და რომ მატერიალური სამყარო არის მხოლოდ იდეების, ღმერთის, უმაღლესი არსების პროდუქტი. ფილოსოფოს-იდეალისტებსა და ყველაზე აშკარა ხუცებს შორის ამ მხრივ არავითარი არსებითი განსხვავება არ არის. თავის რეაქციულ ხუცურ იდეებს ფილოსოფოსი-იდეალისტები ჰფარავენ მხოლოდ სხვადასხვა სიტყვებით, რომლებმაც ადამიანები უნდა მოატყუონ.

ყველა ჯურისა და ელფერის იდეალისტებისათვის მატერიალიზმი საძულველია, ისინი ყოველნაირად ებრძვიან ცოდნას, რათა გაანთავისუფლონ ადგილი ღმერთისათვის, „უმაღლესი შემოქმედისათვის".

ფილოსოფოსი კანტი პირდაპირ აცხადებდა, რომ ზღუდავს ცოდნას, მეცნიერებას, რათა დასტოვოს ადგილი სარწმუნოებისათვის, ღმერთისათვის. ჰეგელი მიისწრაფოდა დაეხატა მატერიალისტები იდეალისტებად, ყოველნაირად აბუჩად იგდებდა მატერიალიზმის წარმომადგენლებს.

კითხულობდა რა ჰეგელს, ლენინი ჰეგელის ფილოსოფიურ ნაშრომთა თავის კონსპექტში აღნიშნავს ასეთი აბუჩად აგდების შემთხვევებს.

ჰეგელის სიტყვების გამო ძველი საბერძნეთის ფილოსოფოს-მატერიალისტ ეპიკურის შესახებ: „ეპიკურს არა აქვს... სამყაროს საბოლოო მიზანი, შემოქმედის სიბრძნეო" — ლენინი შენიშნავს: „ღმერთი ენანება!! იდეალისტი არამზადა!" („ფილოსოფიური რვეულები", გვ. 299).

იდეალიზმი ფილოსოფიურად ასაბუთებს ხუცობას, მხარს უჭერს მის რეაქციულ მისწრაფებებს შეზღუდოს მეცნიერება, შესცვალოს მეცნიერება რელიგიით.

რა თქმა უნდა, აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ არცერთ იდეალისტს არაფერი გაუკეთებია მეცნიერებისათვის, რომ მათი შესწავლა საჭირო არ არის და ა. შ. არიან იდეალისტები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს შემეცნების განვითარებისათვის. მაგრამ მაშინ ისინი, ნებსით თუ უნებლიეთ, გამოდიოდნენ როგორც მატერიალისტები. იმავე კანტმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა მზის სისტემის შექმნის კანონების შესახებ მეცნიერების განვითარებისათვის. მაგრამ კანტის ნაწარმოებში, სადაც იგი იძლევა თავის თეორიას ცის შესახებ, ადგილი არ არის „ბრძენი შემოქმედისათვის". იქ გახსნილია მატერიალური სამყაროს კანონები.

ჰეგელმაც ბევრი რამ გააკეთა დიალექტიკური მეთოდის განვითარებისათვის. მაგრამ თავის დიალექტიკაში ჰეგელმა, როგორც ლენინი აღნიშნავდა, მხოლოდ გენიალურად გამოიცნო ობიექტური მატერიალური ნივთების განვითარების, ბუნების მოვლენათა განვითარების კანონები, იგი ეყრდნობოდა ობიექტური სამყაროს დიალექტიკას. სხვანაირად ჰეგელი ნაბიჯსაც ვერ გადასდგამდა მეცნიერებაში დიალექტიკის შესახებ.

იდეალისტური ფილოსოფია რეაქციულია, ვინაიდან აფერხებს მეცნიერების, კერძოდ ბუნების შესახებ მეცნიერების განვითარებას. იქ, სადაც ფილოსოფიური იდეალიზმი ბატონობს, ბუნებისმეტყველების განვითარებისათვის პირობები სრულიად არახელსაყრელია.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში, სადაც განზოგადებულია ბუნებისმეტყველების განვითარება ენგელსიდან ლენინამდე გასულ პერიოდში, ნაჩვენებია რომ ფიზიკის კრიზისის მიზეზი იყო მატერიალიზმის შეცვლა იდეალიზმით.

ამდენადვე რეაქციული მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიურ იდეალიზმს მეცნიერებისათვის საზოგადოების შესახებ, საზოგადოების ისტორიისათვის.

იდეალისტური ფილოსოფია არღვევს ყოველგვარ რეალურ საფუძვლებს ისტორიის ჭეშმარიტი მეცნიერული გაგებისათვის.

ისტორიისადმი, საზოგადოებისადმი შეფარდებით ფილოსოფიური იდეალიზმი მოასწავებს, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება, ადამიანთა იდეები პირველადია, საზოგადოების არსებობის მატერიალური პირობები კი, წარმოების პირობები და ა. შ. მეორადია, ცნობიერებისაგან წარმოებულია.

ექსპლუატატორული კლასები, რათა განამტკიცონ თავისი მდგომარეობა, ყოველთვის სარგებლობენ ისტორიის იდეალისტური ახსნით. მათთვის ხელსაყრელი არ არის საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერების მეცნიერული ახსნა, ვინაიდან მეცნიერება ამტკიცებს მათს გარდუვალ დაღუპვას. მარქსი სწერდა, რომ ბურჟუაზიის მეცნიერ ნოქრებს ეშინიათ ნივთების დედაარსში ჩაწვდომისა, რათა პოლიციის თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო შედეგი არ გამოვიდეს.

ექსპლუატატორული კლასების სასარგებლო საქმეს აკეთებენ ისინიც, ვინც სიტყვიერად რეკლამას უწევს თავის „სოციალისტურ" იდეალებს, მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს იდეალისტური ფილოსოფიის პრინციპებით.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსში" აღნიშნულია, რომ „უტოპისტების, მათ შორის ნაროდნიკების, ანარქისტების, ესერების დაცემა აიხსნება, სხვათა შორის, იმით, რომ ისინი არ სცნობდნენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა უპირატეს როლს საზოგადოების განვითარებაში და, ვარდებოდნენ რა იდეალიზმში, თავის პრაქტიკულ მოღვაწეობას აგებდნენ არა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებათა საფუძველზე, არამედ მათგან დამოუკიდებლად და მათ წინააღმდეგ, — აგებდნენ საზოგადოების რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილ „იდეალურ გეგმათა" და „ყოვლისშემცველ პროექტთა" საფუძველზე" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 140).

სოციალისტ-უტოპისტები მკვეთრად აკრიტიკებდნენ კაპიტალისტურ წყობილებას. ისინი მარჯვედ ააშკარავებდნენ კაპიტალიზმის მანკიერებას, კაპიტალიზმისა, რომელიც განწირავდა ხალხის მასებს გაჩანაგებისა, სიღატაკისა, შიმშილისა და უმცრებისათვის. უტოპისტები სწყევლიდნენ კაპიტალისტურ საზოგადოებას და ჰქმნიდნენ მრავალრიცხოვან პროექტებს კაცობრიობის გადასარჩენად კაპიტალიზმის წყლულებისაგან. მაგრამ როგორც იდეალისტები, ისინი გამოდიოდნენ იმ პრინციპიდან, რომ იდეები განსაზღვრავენ ამა თუ იმ საზოგადოებრივ წყობილებას. მათ ეჩვენებოდათ, რომ საკმარისია გამოიგონო კარგი, იდეალური გეგმა და დააჯერო მმართველი ადამიანები განახორციელონ ეს გეგმა, რომ მოისპოს კაპიტალისტური წყობილების ყველა საშინელებანი. უტოპისტები შორდებოდნენ რეალურ ისტორიულ მოძრაობას, ვერ ხედავდნენ და არ ესმოდათ, რომ თვით სინამდვილეში, კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების წინააღმდეგობის საფუძველზე მწიფდებიან ის ძალები, რომლებიც მოსპობენ კაპიტალიზმს და შეჰქმნიან სოციალისტურ საზოგადოებას.

რეალური ისტორიული მოძრაობის შეცვლა აზრების მოძრაობით თავში — ასეთია ისტორიის იდეალისტური გაგების ძირითადი პრინციპი.

ისტორიის იდეალისტური გაგების უნაყოფობისა და მავნებლობის მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე რუსი ნაროდნიკების, ესერების, ანარქისტების საქმიანობა. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის მათ მიერ აჩემებული მეთოდი იყო ინდივიდუალური ტერორი, მეფის თვითმპყრობელობის ცალკეულ წარმომადგენელთა მკვლელობანი.

ამ მეთოდის გამოყენების შედეგები უაღრესად სავალალო იყო: მეფის ერთი მოკლული სატრაპის ადგილზე დგებოდნენ სხვები, არანაკლებ მძვინვარენი. ტერორისტები უნაყოფოდ ხარჯავდნენ თავის ძალებსა და ენერგიას და თან უდიდეს ზიანს აყენებდნენ რევოლუციურ მოძრაობას, აშორებდნენ რა მას რეალური, საარსებო ამოცანებისაგან, აფერხებდნენ რა მასობრივი რევოლუციური მოძრაობის განვითარებას.

ძნელი გასაგები არ არის, რომ ტერორის მეთოდი ლოგიკურად გამომდინარეობდა ისტორიის იდეალისტური გაგებიდან: რაკი ესა თუ ის საზოგადოებრივი ფორმა დამოკიდებულია ძლიერ პიროვნებაზე, კეთილ სურვილებზე, მაშინ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან მოიშორო ბოროტი განზრახვების მქონე ადამიანი და მის ადგილზე დასვა კეთილი სურვილების მქონე ადამიანი. ისტორიას აკეთებენ ძლიერი პიროვნებანი, ხალხის მასა მხოლოდ პასიურ „ბრბოს" წარმოადგენს.

ბუნებისა და საზოგადოების შესახებ მეცნიერების დარგში სულ სხვა, პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგებამდე მივყევართ მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს.

ბუნებისმეტყველების განვითარებაში მატერიალიზმი წინააღმდეგ იდეალიზმისა წარმოადგენდა უდიდეს პროგრესიულ ფაქტორს. იგი არ ურიგდებოდა ხუცობას, იბრძოდა ცრუმორწმუნეობისა და ბნელეთისმოციქულობის წინააღმდეგ, წინ მიჰყავდა მეცნიერება.

ლენინი ასე აფასებს მატერიალიზმის მნიშვნელობას მეცნიერებათა განვითარებაში:

„ევროპის მთელი უახლესი ისტორიის განმავლობაში, და განსაკუთრებით XVIII საუკუნის დამლევს, საფრანგეთში, სადაც გაჩაღდა გადამწყვეტი ბრძოლა ყოველგვარი საშუალოსაუკუნოებრივი ნაგავის წინააღმდეგ, დაწესებულებებსა და იდეებში ბატონყმობის წინააღმდეგ, მატერიალიზმი აღმოჩნდა ერთადერთი თანმიმდევარი ფილოსოფია, რომელიც ერთგულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა მოძღვრებისა, მტრულია ცრუმორწმუნეობისა, ფარისევლობისა და ა. შ. ამიტომ დემოკრატიის მტრები მთელი ძალღონით ცდილობდნენ „გაებათილებინათ" მატერიალიზმი, ძირი გამოეთხარათ, ცილი დაეწამებინათ მისთვის და იცავდნენ ფილოსოფიური იდეალიზმის სხვადასხვა ფორმებს, იდეალიზმისა, რომელიც ყოველთვის, ასე თუ ისე, განისაზღვრება რელიგიის დაცვით ან მისთვის მხარდაჭერით" (ვ. ი. ლენინი. ტ. XVI, გვ. 350).

ამ ციტატში უაღრესად მნიშვნელოვანია ის ადგილი, სადაც ლენინი სწერს, რომ მატერიალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ დემოკრატიის მტრები. დემოკრატიის მტრები ყოველთვის ილაშქრებდნენ მეცნიერების წინააღმდეგ, ადამიანის აზროვნების განვითარების წინააღმდეგ: ამაში ისინი ხედავდნენ ღრმა, უაღრესად სერიოზულ საფრთხეს ექსპლუატატორულ საზოგადოებისათვის. თავის ბრძოლაში დემოკრატიის წინააღმდეგ ისინი ეყრდნობოდნენ და ეყრდნობიან ფილოსოფიურ იდეალიზმს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მათ იქადაგონ „თეორიები" ღმერთის მიერ დაწესებული ექსპლუატატორული წყობილების მარადიულობის შესახებ, კერძო საკუთრების წმინდათა-წმინდა ხელშეუხებლობის შესახებ. პირიქით, დემოკრატიის წარმომადგენლები — მაგალითად, საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში — იბრძოდნენ ბნელეთისმოციქულობის ყოველგვარი სახის წინააღმდეგ, და ეს ბრძოლა სწარმოებდა ფილოსოფიური მატერიალიზმის ნიშნით. მატერიალიზმი აძლევდა დემოკრატიის მომხრეებს შესაძლებლობას დაემტკიცებინათ შეუსაბამობა ფეოდალ ვაჭბატონთა მტკიცებისა ფეოდალური საზოგადოების მარადიული არსებობის შესახებ, იძლეოდა საფუძვლებს იმისათვის, რომ შექმნილიყო დემოკრატიული თეორია ადამიანის შესახებ, მისი არსებობის პირობების შესახებ, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ზომების შესახებ.

O

თავის უმაღლეს ფორმას მატერიალიზმი აღწევს მარქსის ფილოსოფიურ მატერიალიზმში. ლენინი სწერდა, რომ „მარქსის ფილოსოფია არის დამთავრებული ფილოსოფიური მატერიალიზმი, რომელმაც მისცა კაცობრიობას შემეცნების დიადი იარაღები, ხოლო მუშათა კლასს — განსაკუთრებით". (იქვე, გვ. 351).

მარქსისწინანდელი მატერიალიზმი ასე თუ ისე შეზღუდული იყო.

უწინარეს ყოვლისა, ეს მატერიალიზმი **იყო მეტაფიზიკური,** ანტიდიალექტიკური მატერიალიზმი, იგი ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს არ განიხილავდა მათს კავშირში, განვითარებასა და გარდუვალ ცვალებადობაში. პირიქით, ამ მოვლენებს იღებდა როგორც მუდმივს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს, რომლებიც ვითარდებიან მხოლოდ უცვლელს, კვლავდაკვლავ განმეორებულს წრეში.

მარქსმა და ენგელსმა, გამოიყენეს და კრიტიკულად გადაამუშავეს რა ყოველივე დასაფასებელი, რასაც კი შეიცავდა ჰეგელის დიალექტიკა, აიყვანეს მატერიალიზმი დიალექტიკური მატერიალიზმის საფეხურზე. მეტაფიზიკოსი მატერიალისტების წინააღმდეგ ისინი განიხილავენ ბუნებასა და საზოგადოებას „არა როგორც მყუდროებისა და უმოძრაობის, შეჩერებისა და უცვლელობის მდგომარეობას, არამედ როგორც განუწყვეტელი მოძრაობისა და ცვლილების, განუწყვეტელი განახლებისა და განვითარების მდგომარეობას, სადაც მუდამ რაღაც წარმოიშვება და ვითარდება, რაღაც ინგრევა და დრომოჭმული ხდება" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 128).

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი განიხილავს მატერიას, ბუნებას როგორც ობიექტურ რეალობას, როგორც პირველადს. ხოლო მატერია განუყოფელია მოძრაობისაგან. მოძრაობა არის მატერიის ყოფიერების ფორმა, მისი არსებობის ფორმა. ბუნების განვითარების მთელი ისტორიული პროცესი არის მატერიის განვითარების პროცესი, მისი გადასვლა ერთი ფორმიდან მეორეში. თვით აზროვნება ადამიანისა არის მხოლოდ პროდუქტი მატერიის განვითარების ამ ისტორიული პროცესისა, მაღალორგანიზებული მატერიის პროდუქტი.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი წარმოადგენს ერთადერთ მეცნიერულ საფუძველს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებისათვის მაგრამ ეს მატერიალიზმი განსხვავდება მარქსისწინანდელი მატერიალიზმისაგან არა მარტო თავისი დიალექტიკური თვალსაზრისით ბუნებაზე. მატერიალიზმის ყველა წინანდელი ფორმები ეხამებოდნენ იდეალისტურ შეხედულებას საზოგადოებაზე. მისი განვითარების კანონებზე.

მარქსმა და ენგელსმა ფილოსოფიური მატერიალიზმი საზოგადოებრივი განვითარების სფეროზეც გაავრცელეს.

საზოგადოებისადმი შეფარდებით მატერიალიზმის ძირითადი პრინციპი მატერიის პირველადობის შესახებ ნიშნავს, რომ საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობები აგრეთვე პირველადია, ფუძემდებელი, საზოგადოებრივი იდეები კი ამ პირობათა მხოლოდ ანარეკლია.

თანმიმდევრობით უფარდებდნენ რა ამ პრინციპს საზოგადოებას, მარქსმა და ენგელსმა უდიდესი გადატრიალება მოახდინეს მეცნიერებაში. მათ მისცეს კაცობრიობას, და პირველ რიგში მუშათა კლასს, საზოგადოებრივი განვითარების ჭეშმარიტად მეცნიერული თეორია. მათ გაჭყანტეს იდეალისტური მისტიკა, რომელიც საზოგადოებას დამოკიდებულს ხდის შემთხვევითობისაგან, „დიდი ადამიანის" იდეისაგან, მისტიკა, რომელიც უარჰყოფს კანონზომიერებას საზოგადოების განვითარებაში.

ადამიანებს, ახალ თაობებს, გვასწავლიდნენ მარქსი და ენგელსი, ყოველთვის მზად ხვდებათ თავისი მატერიალური ცხოვრების პირობები. ეს მატერიალური პირობები ანუ მატერიალური დოვლათის წარმოების წესი განსაზღვრავენ ადამიანთა ცხოვრების მთელ სახეს: მათს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საზოგადოების პოლიტიკურ ფორმას, მათს ცნობიერებასა და იდეებს. ცხოვრების მატერიალური პირობების განვითარება და ცვლილება გარდუვალად იწვევს საზოგადოებრივ ურთიერთობათა, ყველა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზედნაშენთა ცვლილებას. ძველი საზოგადოების წიაღში მზადდება და მწიფდება პირობები არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლილებისათვის, ახალ საზოგადოებაზე გადასვლისათვის. ადამიანთა იდეები და გონება კი არ შეადგენენ ამ გადასვლის მთავარ მიზეზს, არამედ საწარმოო ძალებში მომხდარი ცვლილებები, საწარმოო ძალების პროგრესი.

ამრიგად, საზოგადოების განვითარებაში არსებობს რკინისებური, ობიექტური კანონზომიერება, რომელიც ბუნებრივი აუცილებლობით ხდება. სწორედ ეს ობიექტური კანონზომიერება ჰქმნის შესაძლებლობას ადამიანთა შეგნებული მოქმედებისათვის. ასეთი კანონზომიერება რომ არ ყოფილიყო, ცალკეული ადამიანი, მთელი კლასები და პარტიები ვერ იმოქმედებდნენ შეგნებულად. მხოლოდ საზოგადოების კანონთა ცოდნა აძლევს ადამიანებს ხელში შეგნებული ბრძოლის, შეგნებული რევოლუციური მოქმედების უაღრესად ბასრ იარაღს.

„მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვას და ფუჭ მეოცნებეთა მდგომარეობაში რომ არ ჩავარდეს, პროლეტარიატის პარტია თავის მოღვაწეობაში უნდა გამოდიოდეს არა „ადამიანის გონებას" განყენებული „პრინციპებიდან", არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების, როგორც საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტი ძალის კონკრეტული პირობებიდან, არა „დიდ ადამიანთა" კეთილი სურვილებიდან, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების რეალური მოთხოვნილებებიდან" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 140).

O

მოვიყვანოთ იმის ერთი მაგალითი. თუ როგორ ხელმძღვანელობს პარტია თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი დასკვნებით.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" აღნიშნულია, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდში მთელ რიგ ადგილებში დაშვებული იყო გადახვევები. „წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტის მითითებებისა იმის შესახებ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად რგოლს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიც ხდება წარმოების მხოლოდ ძირითად საშუალებათა განსაზოგადოება, მთელ რიგ ადგილებში ხდებოდა უთავბოლო გადახტომა არტელიდან კომუნაზე, ტარდებოდა საცხოვრებელ ნაგებობათა, არასასაქონლო მეწველი და წვრილფეხა პირუტყვის, შინაური ფრინველისა და სხვ. განსაზოგადოება" (იქვე, გვ. 374).

პარტია და ამხანაგი სტალინი მიუთითებდნენ, რომ კომუნების ზემოდან დანერგვა და დეკრეტირება დაუშვებელია, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმას ახლანდელ ეტაპზე წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომ კომუნებისათვის, ესე-იგი საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლესი ფორმისათვის, ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო. აყენებდა რა ასე საკითხს, იბრძოდა რა არტელის კომუნით შეცვლის წინააღმდეგ, პარტია მოქმედებდა არა რაღაც განყენებულ „ადამიანის გონების პრინციპთა" ძალით, რომელთა თანახმად არტელი კომუნაზე უკეთესია. პარტია გამოდიოდა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური მატერიალიზმის იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან, რომლის მიხედვით საზოგადოების მატერიალური ცხოვრების კონკრეტული პირობები, მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებანი წარმოადგენენ საზოგადოების გადამწყვეტ ძალას. სწორედ ამ გადამწყვეტმა ძალამ ობიექტურად განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო არტელი როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი ფორმა. საწარმოო ძალების ახლანდელი მდგომარეობის საფუძველზე მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო არტელს შეუძლია გაიზარდოს როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი ფორმა. მხოლოდ ეს ფორმა შეესაბამება თანამედროვე მატერიალურ პირობებს, მხოლოდ ის არის გამოწვეული მატერიალური ცხოვრების განვითარების რეალური მოთხოვნილებებით.

კომუნისთვის კი, როგორც თანამედროვე საკოლმეურნეო მოძრაობის უპირატესი ფორმისათვის, ჯერ კიდევ არ არის საკმაო ობიექტური, ესე-იგი მატერიალური, პირობები.

კომუნა იმით განსხვავდება არტელისაგან, რომ მასში განსაზოგადოებულია წარმოების არა მარტო ძირითადი საშუალებანი, არამედ განაწილებაც, ყოფაცხოვრება. საკოლმეურნეო მოძრაობის ამ უმაღლესი ფორმის წარმოშობისათვის ხელის შეწყობა შეუძლია არა „ადამიანის გონების პრინციპებს", არამედ უწინარეს ყოვლისა საწარმოო ძალების, ტექნიკის რეალურ განვითარებას.

„მომავალი კომუნა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში XVII პარტყრილობაზე, — წარმოიშობა განვითარებული და შეძლებული არტელიდან. მომავალი სასოფლო-სამეურნეო კომუნა წარმოიშობა მაშინ, როდესაც არტელის მინდვრებზე და ფერმებში იქნება მარცვლეულის, პირუტყვის, ფრინველის, ბოსტნეულის და ყოველგვარი სხვა პროდუქტის სიუხვე, როდესაც არტელებთან მოეწყობა მექანიზებული სამრეცხაოები, თანამედროვე სამზარეულო-სასადილოები, პურის ქარხნები და სხვ., როდესაც კოლმეურნე დაინახავს, რომ მისთვის უფრო სასარგებლოა მიიღოს ხორცი და რძე ფერმიდან, ვიდრე იყოლიოს თავისი ძროხა და წვრილი პირუტყვი, როდესაც კოლმეურნე ქალი დაინახავს, რომ მისთვის უფრო სასარგებლოა ისადილოს სასადილოში, პური მიიღოს პურის ქარხნიდან და მიიღოს გარეცხილი საცვლები საზოგადოებრივ სამრეცხაოდან, ვიდრე თვითონ მოჰკიდოს ამას ხელი. მომავალი კომუნა წარმოიშობა უფრო განვითარებული ტექნიკისა და უფრო განვითარებული არტელის ბაზაზე. პროდუქტთა სიუხვის ბაზაზე" („ლენინიზმის საკითხები", გვ. 686).

საკოლმეურნეო მოძრაობის პრაქტიკულმა განვითარებამ სავსებით დაადასტურა პარტიის ხაზი. სასოფლო-სამეურნეო არტელმა—გლეხობის ფართო მასების შეგნებისათვის მისაწვდომმა ფორმამ,—ამ წლებში ხელი შეუწყო კოლმეურნეობების განმტკიცებას, მათი შეძლებულობის ზრდას, მათი საწარმოო ძალების განვითარებას. სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩვენი თვალის წინ ამზადებს პირობებს სასოფლო-სამეურნეო კომუნაზე მომავალი გადასვლისათვის. არტელის — ახლანდელ ეტაპზე საკოლმეურნეო მოძრაობის ამ ძირითადი ფორმის — განვითარება და განმტკიცება არის გზა მომავალი კომუნისაკენ, ესეიგი კიდევ უფრო შეძლებული და კულტურული ცხოვრებისაკენ.

ამრიგად, სახავდა რა სასოფლო-სამეურნეო არტელს როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარ ფორმას, პარტია გამოდიოდა იმ პრინციპიდან, რომ ცხოვრების მატერიალური პირობები განსაზღვრავენ საზოგადოებრივ ფორმას, რომ ეს უკანასკნელი უნდა შეესაბამებოდეს საწარმოო ძალებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, პარტია ემყარებოდა იმ დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური მატერიალიზმიდან, რევოლუციური თეორიიდან, რომელიც სწორად არკვევს საზოგადოებრივ კანონებს, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს.

ასე ხდება თეორია საზოგადოებრივი განვითარების უდიდეს ძალად.

O

ფუჭი და უნაყოფოა მხოლოდ ის იდეები, თეორიები, რომლებიც არ დგანან საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების ნიადაგზე, რომლებიც არ გამოდიან ამ კანონზომიერებიდან. ხოლო თეორია, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების განვითარების ობიექტურ მსვლელობას, თეორია, რომელიც ემყარება ობიექტურ საზოგადოებრივ კანონებს, უდიდეს რევოლუციურ ძალად ხდება.

ასეთია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია. იგი მთელი სიღრმით ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებულ მოთხოვნილებებს, წარმოების კაპიტალისტური წესის სოციალისტური წესით შეცვლის რეალურ მოთხოვნილებებს. ამიტომ ამ თეორიის ძალა არის უწინარეს ყოვლისა ისტორიის თვით ობიექტური მსვლელობის ძალა. იცოდე ეს თეორია, შეიარაღებული იყო მით და მოქმედებდე მისი დროშით, ნიშნავს ანხორციელებდე ისტორიის მომწიფებულ მოთხოვნილებებს, ნიშნავს გაიმარჯვო დანამდვილებით.

ბოლშევიკების პარტია თავისი არსებობის მთელ მანძილზე იბრძოდა ასეთი თეორიისათვის, იცავდა მას ყოველგვარი დამახინჯებისაგან, მიჰყავდა იგი რევოლუციური პრაქტიკის პროცესში წინ, აჰყავდა ეს თეორია უმაღლეს საფეხურზე.

ამაშია ბოლშევიკური პარტიის ძალა, ამაშია მის უდიდეს წარმატებათა საიდუმლოება, კომუნიზმის მომავალი გამარჯვების საწინდარი.

მ. როზენტალი

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტის" № 280.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება

7 და 8 დეკემბერს შინსახკომის ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა თბილისის კომკავშირული აქტივის კრება საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მდივნებთან ერთად.

მოხსენებით საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ გამოვიდა საქართველოს ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. ა. მირცხულავა.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: დარაშვილმა (საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი), კაკულიამ (საქართველოს ალკკ გეგეჭკორის რაიკომის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი), ეფენდიშვილმა (თბილისის ლ. ბერიას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმის კომკავშირული კომიტეტის მდივანი), გედევანიშვილმა (თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის კომკავშირული კომიტეტის მდივანი), მამულაიშვილმა (ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწე კომკავშირის ხაზით), საკიანმა (საქართველოს ალკკ ლუქსემბურგის რაიკომის მდივანი), სალუქვაძემ (თბილისის მე-36 საშუალო სკოლა), შეყრილაძემ (საქართველოს ალკკ ცაგერის რაიკომის მდივანი), ნონიკაშვილმა (საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი), მოწერელიამ (საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი), ზებელიანმა (საქართველოს ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი), მერცხულავამ („ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქცია), კაკოშაძემ (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი), მაისაძემ (თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბაღდასაროვმა (საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი), ბიგვავამ (საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), ვოლფენზონმა („მოლოდოი სტალინეც" რედაქცია), ზირკაძემ (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი), ნინიძემ (საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი), ვორონკოვმა (საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი), ყრუაშვილმა (საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი), შანიძემ (საქართველოს ალკკ ც. კ.), აგაშენაშვილმა (საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი), კოლესნიკოვმა (№ ნაწილი), ჭანუყვაძემ (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანი), ჭელიძემ (ფიზკულტურის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტი), გელაშვილმა (საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი), მილშტეინმა (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი).

თავის გამოსვლებში ამხანაგები სავსებით იწონებდნენ და მიესალმებოდნენ საკ. ალკკ ც. კ-ის VII პლენუმის გადაწყვეტილებებს და აღნიშნავდნენ, რომ კომკავშირის ყოფილ, პოლიტიკურად გაკოტრებულ ხელმძღვანელთა პოსტებიდან მოხსნა, რომლებიც ხალხის მტრებს ფარავდნენ, ხელს შეუწყობს კომკავშირში შეპარულ მავნებლებთან, ხალხის მტრებთან ულმობელი ბრძოლის კიდევ უფრო ფართოდ გაშლას და მტრების ნაბოლარების ბოლომდე აღმოფხვრას.

გამოსულებმა გააკრიტიკეს საქართველოს ალკკ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებისა და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

მიღებულ რეზოლუციაში აქტივის კრებამ მთლიანად და სავსებით მოიწონა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის.

აქტივის კრებამ დიდი აღფრთოვანებით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიიღო მისალმება მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.

კრებამ აღფრთოვანებით მიიღო მისალმება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა ამხ. მ. ჯაშმა.

ინტელიგენციის კრებები

ქუთაისი

7 დეკემბერს ქუთაისში ჩატარდა ინტელიგენციის საქალაქო კრება. „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების ირგვლივ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ნარსია.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პედაგოგებმა: მოსეშვილმა, მახათაძემ და შ. ჩაკვეტაძემ (განათლების განყოფილებიდან), თავაძემ (ჯანმრთელობის განყოფილებიდან), გ. ხაჯალიამ, და გვერდწითელმა (პედინსტიტუტი), რესპ. დამსახურებულმა არტისტმა ამხ. დ. ანთაძემ, ვ. ლალიაშვილმა (ქალაქკომი) და სხვ.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

იგ. გვასალია.

ბორჯომი

ბორჯომი, 8 დეკემბერი (საქდესი). ლ. ბერიას სახელობის კულტსახლის სათეატრო დარბაზში ჩატარდა ქალაქის ინტელიგენციის თათბირი. თათბირზე მოხსენებით საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების—„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის მდივანი ამხ. გ. კუხალეიშვილი.

თათბირის დამსწრე ინტელიგენციამ ერთსულოვნად მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება და განაცხადა, რომ გულდასმით შეისწავლის ლენინ-სტალინის პარტიის გმირულ ისტორიას.

რაიონული პარტაქტივის კრებები

კასპი

(საქ. კორესპონდენტისაგან)

4 დეკემბერს შესდგა კასპის რაიონული პარტიული აქტივის კრება. აქტივმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივნის ამხ. ა. კეზერაშვილის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებაზე—„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ: ალ. მჟავანაძე, ალ. ხეჩიკაშვილი, კ. ოთიაშვილი, მ. ქიქილაშვილი, ე. ბაკურია, გ. ქვრივიშვილი, გრ. ბოჭორიშვილი, ა. უზნაძე, ი. გოზალოვი, ი. ჩუბინიძე და ლეო მეზურნოვი.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები იწონებდნენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებას და სახავდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ დადგენილების პრაქტიკულად გატარებისათვის.

დასასრულ კრებამ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების განხორციელებისათვის.

ს. ყურაშვილი

გეგეჭკორი

(საქდ. კორესპონდენტისაგან)

6 დეკემბერს საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიონული აქტივის კრებამ გულდასმით მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. კ. კალანდიას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებაზე—„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". კამათში მონაწილეობა მიიღო 8 ამხანაგმა.

აქტივის კრებამ, ერთსულოვნად მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება და დასახა ღონისძიებანი მისი შესრულებისათვის.

მ. საკარული

სამტრედია

(საქ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიონის აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებისადმი „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი ამხ. გ. კოკაია. მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 9 ამხანაგი, რომლებიც ამჟღავნებდნენ რაიონში არსებულ ნაკლოვანებებს.

აქტივმა მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მისი შესრულებისათვის.

გ. სიხარულიძე

ყვარელი

(საქ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიონული აქტივის კრება. კრებამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. მ. მენთეშაშვილის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებაზე „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდა 15 ამხანაგი. აქტივის კრებამ ერთხმად მოიწონა აღნიშნული დადგენილება.

ს. წიქარიშვილი

ახალციხე

რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივმა განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". რაიაქტივის კრებას 110 კაცი დაესწრო. ახალციხის რაიკომის მდივნის ამხ. კირვალიძის მიერ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა 18 ამხანაგი, რომლებმაც სერიოზული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს პარტიული პროპაგანდის დაყენება ახალციხის რაიონში.

რაიაქტივის რეზოლუცია სავსებით იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს მისი განუხრელი განხორციელებისათვის. (საქდესი).

◇

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი ოსურ ენაზე

(სტალინირი, ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ოსურ ენაზე თარგმნა დამთავრდა. საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის კომისია შეუდგა ოსური თარგმანის საბოლოო რედაქციას.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის სახელმძღვანელო დაიბეჭდება ახალი ოსური ალფაბეტით. წიგნი უახლოეს ხანში გამოვა.

კ. ტრაპაიძე

26 კომუნარის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის გამგე ამხ. ნ. შვიდკოი (მარცხნივ) კონსულტაციას აძლევს ამხ. გ. გოგელაშვილს და მ. დუდუჩავას, რომლებიც ემზადებიან მოხსენებისათვის.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სანდრო ეული—ლექსები და პოემები

„ფედერაცია", 1938 წელი.

1934 წელს საბჭოთა საზოგადოებრიობამ სანდრო ეულს სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავი იუბილე ვადაუხადა. ამ იუბილეს გამო დაწერილ ლექსებში პოეტმა აღუთქვა საბჭოთა მკითხველს, რომ იგი უფრო მეტი ინტენსივობით, უფრო მაღალი მხატვრული ხარისხით განაგრძობდა პოეტურ მუშაობას:

„ყოველ ახალ დღეს
შევაგებებ ჩემს
ახალ ლექსებს, —
უნდა გამართლდეს
ეს იმედი და შეპირება".
(ახალი ლექსი)

ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიისადმი მიძღვნილ პოეტურ პატაკში სანდრო ეულმა გამოხატა თავისი პოეზიის ძირითადი აზრი და დანიშნულება:

„დღეს თუ მტერი გარს გვარტყია,
ვით ღრუბლები მზესა,
მეც კვლავ, ჩვენო კომპარტიავ,
გიძღვნი ბრძოლის ლექსსა.
შენს რიგებში, მებრძოლებში
მხნედ მიგულე მეცა".

ს. ეულის უკანასკნელი წიგნი—„ლექსები და პოემები" შეიცავს უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე დაწერილ ნაწარმოებებს და წარმოადგენს შემოქმედებითს პასუხს ამ დაპირებაზე.

ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსების ციკლს, რომელშიც ავტორი ცდილობს გამოხატოს თანამედროვე ეპოქის თვალსაზრისი პოეტის დანიშნულებაზე—მოსდევს ლექსები საერთო სათაურით: „ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი".

ამ ლექსებში პოეტი უმღერის ჩვენს აღორძინებულ და აყვავებულ სამშობლოს და ხატავს მისი დღევანდელი ვიფარების სურათებს:

„ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი,
უხვი არის და ბარაქიანი,
თავს დაქათქათებს ამ ქვეყნის მიწას
ჩვენი ვარსკვლავი ხუთქიმიანი,
ჩვენმა ქვეყანამ შექმნა სიმღერა
მილიონების მრავალხმიანი,
დიდო ბელადო, მას გიმღერს მიწა,
მაღალი მთები თეთრი თმიანი".

ჩვენი დიადი დღევანდელობისადმი მიძღვნილ ჰიმნს ავტორი აკავშირებს მოგონებასთან იმ დუხჭირ და შავბნელ წარსულზე, რომელიც ძლევამოსილად გადალახა საბჭოთა ხალხმა თავისი გმირული ბრძოლითა და შრომით.

ლექსი „შაქრის ქარხანაში" გამოხატავს პოეტის სწრაფვას—მოგვცეს ჩვენს ქვეყანაში გაშლილი სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული პოეტური ანარეკლი.

ლექსების ამ ციკლსა და მთელ ამ წიგნში ყურადღებას იპყრობს ლექსი „ბელადი დედასთან", რომელშიც ავტორი განახლებული თბილისის პეიზაჟის ფონზე გამოხატავს გულწრფელ აღფრთოვანებას თბილისში ხალხთა დიდი ბელადის ჩამოსვლის გამო.

„თბილისმა თვალში მზე ჩაიდგა და
ციცხლი გულში,
შემოდგომის თვეს გაზაფხულის
დარი ეწვია,
ქალაქი ძვირფას მნახველს თრთოლვით მკერდს გადაუშლის,
იმ მკერდს, რომელსაც ძველი ბჭენი
დაულეწია".

ლექსების მთელი ციკლით პოეტი ასახავს საბჭოთა ხალხის საზეიმო განწყობილებას დიადი სტალინური კონსტიტუციის ტრიუმფის—უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეებში. მთელ რიგ ლექსებში ავტორი უმღერის ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებულ ხალხთა სტალინურ მეგობრობას, აყვავებულ და გაფურჩქნილ ცხოვრებას ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოსი.

ლექსი „განაჩენი" გამოხატულებაა ძლევამოსილი საბჭოთა ხალხის მრისხანე ზიზღისა და სიძულვილისა სოციალიზმის გაცოფებული მტრების, ფაშიზმის გარეწარი აგენტების მიმართ:

„მაგრამ მათ ნიღაბს მისწვდა
რისხვა ჩვენი ქვეყნისა,
გულში ჩაეცა სასიკვდილოთ
მათ ჩვენი ხმალი;
მათ შავი ზრახვის შესრულება
აღარ ელირსათ,
რადგან გვიჭირავს ჩვენ სიფხიზლით
მახვილი თვალი".

კრებული გამსჭვალულია აღმაფრენით, რომელსაც იწვევს და ასაზრდოებს ჩვენს დიად სამშობლოში დამკვიდრებული ბედნიერი მზიური ცხოვრება:

„ყოველი წუთი სიხარულია,
ყოველი წამი ბედნიერება,
ბელადი ყველას საყვარელია,
მისი სახელი არის დიდება,
ბედნიერია ცხოვრება ახლა,
მივქრივართ წინ და სულ მაღლა,
მაღლა".

სარეცენზიო კრებული ნათლად მოწმობს, რომ სანდრო ეული უკანასკნელი წლების შემოქმედებითს მუშაობაში თანმიმდევრულად ისწრაფვის დასძლიოს ის სქემატიური განყენებულობა, პოეტური მეტყველების პლაკატური ფორმები, მშრალი რიტორულობა და პროზაიზმი, რომელიც დამახასიათებელი იყო ქართული პროლეტარული პოეზიის პირველი თაობისათვის მისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყის პერიოდში.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა საგრძნობი ნაბიჯი გადადგა წინ ს. ეულმა უკანასკნელი წლების მანძილზე, საკმარისია ზემოთ მოყვანილი ლექსები შევადაროთ ამავე კრებულში მოთავსებულ მის ადრინდელ ლექსს „აფეთქება საქართველოში", სადაც ასეთ პროზაულ, დაბალი პოეტური ღირსების სტრიქონებს ვხვდებით:

„ეპოქას გულის საფეთქელი
გვაქვს დაძლეული,
სოფლად, ქალაქად — ეს ცხოვრება
არის ახალი,
დროშა ჩვენ მუდამ გვქონია და
გვაქვს აწეული
და ზედ ნაქსოვი მზის სხივებით
ურო—ნამგალი".

კრებულში მოთავსებული პოემები „გმირი" და „ქალადიდი" წარმოადგენენ საყურადღებო ცდებს თანამედროვეობის თემებზე სიუჟეტური პოეზიის შექმნის მიმართულებით.

რაც შეეხება „ფოლადის პოეტს", პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ ნაწარმოების დიად თემატურ შინაარსს, ავტორის ფართოდ მოფიქრებულ შემოქმედებითს განზრახვას ვერ სწვდება პოემის მხატვრული დონე, თემა სათანადო სიღრმით დაძლეული ვერ არის.

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე რუსული პოეზიისა და სხვა მოძმე ხალხთა ლიტერატურის რამდენიმე ნიმუში, ქართულად თარგმნილი ს. ეულის მიერ.

სარეცენზიო კრებული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ს. ეული თავის მომავალ მუშაობაში კიდევ უფრო გააღრმავებს შემოქმედებითს ბრძოლას პოეტური ფორმის მეტი სიმახვილისათვის. მეტი კონკრეტულობისა და დახვეწილობისათვის პოეზიაში.

ბ. ჟღენტი

ალიო. მაშაშვილი

საქ. საბ. მწერლების კავშირის პ.-მგ. მდივანი, ორდენოსანი პოეტი

საქ. კ. პ. (ბ) ისტორია და ქართული მწერლობის ამოცანები

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" სტალინური სიმართლით მოთხრობილია საბჭოთა ხალხებისა და მათი ხელმძღვანელი რაზმის, ბოლშევიკური პარტიის გმირული ბრძოლა და გამარჯვება სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის. პარტიის ისტორიის მოკლე კურსს ახალ დონეზე აჰყავს ჩვენი თეორიული ცხოვრება. იგი აიარაღებს ყოველ კომუნისტს და უპარტიოს, ყოველ საბჭოთა მოქალაქეს, მუშას თუ ინტელიგენტს რევოლუციური ბრძოლის მდიდარი გამოცდილებით. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი, სოციალისტური კადრების თეორიულად მომზადების საქმეში.

ამ შრომაში მოთხრობილია დიადი საბჭოთა ხალხების, მათი მშობლიური პარტიის შეურიგებელი ბრძოლა თავისუფლებისათვის, სოციალური უკუღმართობის მოსპობისათვის, ბრძოლა შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ. ის უდიდესი პატრიოტიზმი საბჭოთა ხალხებისა თავისი ახლად შობილი სოციალისტური სამშობლოს მიმართ, ის თავდადებული ბრძოლა მშრომელი ხალხებისა 14 კაპიტალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის შესახებ მოთხრობილია პარტიის ისტორიაში, გმირული მაგალითის მიმცემია მსოფლიოს მუშათა კლასისათვის.

დღეს, როდესაც მეორე იმპერიალისტური ომი უკვე დაწყებულია, დღეს, როდესაც უფრო მძაფრდება კლასობრივი ანტაგონიზმი კაპიტალისტურ ქვეყნებს შიგნით და მძაფრდება წინააღმდეგობა ამ ქვეყნებს შორის, პირსისხლიანი ფაშიზმი ამ კრიზისიდან გამოსავალს ეძებს მშრომელი ხალხის უფრო დიდ შევიწროებაში, რეპრესიებში, ანტისემიტურ კამპანიებში, პატარა უმწეო ქვეყნების დაპყრობაში და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მომზადებაში. ამ დროს გამოცდილება ჩვენი ხალხისა და ლენინ-სტალინის პარტიის დიადი ბრძოლებისა, მაგალითის მიმცემია ყველა იმათთვის, ვინც თავდადებით იბრძვის დღეს უცხოეთის ინტერვენტების, სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მწერლობისათვის. ის აიარაღებს მწერალს ცხოვრების ღრმა ცოდნით, სინამდვილის რეალისტური ვაგებით. იგი ეხმარება მწერალს წარსულისა და თანამედროვეობის სწორად ასახვაში, ის გზას უხსნის მწერლობას უფრო ფართო ტილოებისაკენ—რომანისაკენ, ეპოსისაკენ, დრამისაკენ და სხვ. რევოლუციური თეორიით შეიარაღება მწერლობისათვის საჭირო და აუცილებელია.

„რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც", — გვასწავლიდა ლენინი. ამხანაგი სტალინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს რევოლუციურ თეორიას, „ვინაიდან მას, და მხოლოდ მას შეუძლია მისცეს მოძრაობას რწმენა, ორიენტირების ძალა და გარემო მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგება, ვინაიდან მას და მხოლოდ მას შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას გაიგოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით მიემართებიან კლასები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა წარიმართონ ისინი უახლოეს მომავალში" („ლენინიზმის საკითხები", გვ. 21).

სოციალისტური ლიტერატურა იზრდება, ვაჟკაცდება და ვითარდება საბჭოთა სახელმწიფოს მზრუნველობით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით.

მწერლებმა, რომლებმაც „ადამიანის სულის ინჟინერის" სახელწოდება მიიღეს დიდი ბელადისაგან, ჭეშმარიტად და ბოლომდე უნდა დაიმსახურონ ეს საპატიო დანიშნულება. ისინი მაშინ შესძლებენ ამას, როდესაც უფრო გრძნობით და სიყვარულით მივლენ ცხოვრებასთან, ღრმად ჩასწვდებიან ამ ცხოვრების გარდაქმნის პროცესს. ლიტერატურა ხომ—ბელინსკის თქმის არ იყოს—უმაღლესი მხატვრული გამოთქმაა ხალხის აზრისა.

აშკარად უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მრავალი მიღწევებისა, საბჭოთა მკითხველი მწერლობისაგან უფრო მეტს მოითხოვს. მწერლობის ამოცანაა დამაჯერებლად და ხორცშესხმულად ასახავდეს ჩვენი ეპოქის დამახასიათებელ მოვლენებს.

ჩვენი მწერლობა თავის ეპოქასთან მხარიმხარ უნდა იდგეს. საბჭოთა მწერლობა ჯერჯერობით ახალგაზრდაა და ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი უფრო ღრმად უნდა შეიჭრას ცხოვრების სინამდვილეში, უფრო ღრმად ჩასწვდეს მას, უფრო უკეთ იცნობდეს მის წარსულს, მის დღევანდელ ვითარებას.

დაიწერა მრავალი წიგნი როგორც წარსულ, ისე თანამედროვე თემებზე, მაგრამ ზოგიერთ მათგანში ნაკლებადაა ასახული ნამდვილი ცხოვრება — საკმაო სიმკვეთრით არ სჩანს ტიპი, არ სჩანს გმირი, ადამიანი, დამახასიათებელი ამა თუ იმ ეპოქისა, ადამიანი სრულყოფილი, თავის დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მისი როლი და მნიშვნელობა სოციალურ გარემოსა და ურთიერთობაში.

ცხოვრების ზერელედ ცოდნას მწერალი გადაჰყავს გულუბრყვილობაში, ნატურალიზმში, არადამაჯერებლობაში. მწერალი ამ დროს უფრო მეტად უნდება თავისი „გმირების" მშრალი ბიოგრაფიების აღწერას, მათ შორის ინტრიგას და სხვ. ნამდვილი საზოგადოებრივი საფუძველი კი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ეს გმირები, განზე რჩება. ამას მწერლობაში ეწოდება ფორმალიზმი, ნატურალიზმი. ხალხი, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრების მამოძრავებელია; ხალხი, რომელიც თვითონ იღწვის ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნისათვის, რასაკვირველია, მწერლის მიერ მოგონილ ამბებს არ დაუჯერებს, არ მიიღებს. დღეს ჩვენი ლიტერატურა მკვიდრად დგას სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე. მაგრამ, ცხადია, არის ზოგიერთი ნაკლოვანებანი და ჩვენც სწორედ მათს შესახებ ვლაპარაკობთ.

მრავალფეროვანია და მდიდარი ქართველი ხალხის წარსული ცხოვრებაც. ჩვენი სამშობლო ძველთაგანვე განდიდებული იყო თავისი ეროვნულ - სახელმწიფოებრივი არსებობისათვის ბრძოლებით. ქართველ ხალხს ჰყავს თავისი საყვარელი და საამაყო გმირები წარსულში (გ. სააკაძე, პატარა კახი, არსენა და სხვ.). პატრიოტიზმის მაგალითებს იძლევა საქართველოს მთელი ისტორია, როცა ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ქედს არ უხრიდა არავითარ დამპყრობელ ძალას და გმირულად იგერიებდა ჩვენს მიწა-წყალზე შემოსეულ ურდოებს, როგორიც იყვნენ რომის იმპერატორის ჯარები, თურქთა იანიჩარები და ირანელ მტაცებელთა ბრბოები. ამ ბრძოლებში ქართველი ხალხი გზავნიდა თავის საუკეთესო შვილებს და მათი სიცოცხლის ფასად იცავდა სამშობლოს დამოუკიდებლობას და არსებობას. ამ ისტორიული ბრძოლების გადატანა მხატვრულ ტილოებზე, ამ ბრძოლების გმირთა მხატვრული გაცოცხლება უდიდეს განძად შევა საბჭოთა-პატრიოტულ ლიტერატურაში.

კიდევ უფრო აქტიური და დროულია ისტორიულ - რევოლუციური თემების ასახვა, რომელიც ჩვენს მწერლობაში უკვე დაწყებულია. აქედან ყველაზე უფრო საინტერესოა უახლესი ეპოქა, მეცხრამეტე საუკუნის დასასრული და მეოცე საუკუნე. ეს არის ეპოქა რევოლუციური მარქსიზმის დამკვიდრებისა და გამარჯვებისა ჩვენს ქვეყანაში. ამ ეპოქის ნათელ და ამომწურავად ზუსტ სურათს იძლევა საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი. იგი პირდაპირ მიუთითებს მწერლობას ღირსშესანიშნავ და წარმტაც თემებზე, ხალხის საყვარელ შვილებზე, რომლებიც აღზარდა და გამოაწრთო ლენინ-სტალინის პარტიამ. ამ მხრივ ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსული და აწმყო ეპოქალური თემების უხვი არსენალია. საჭიროა ამ წარსული ცხოვრების მხატვრული გადმოცემა.

ქართველი ხალხის და მისი გმირების ბრძოლა და ცხოვრება სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისა და აღორძინებისათვის მშობლიურ და საამაყო ხმად ისმის დღესაც სოციალიზმის მშენებელი ქართველი ხალხის გულში. ამიტომ არის, რომ დღეს ასეთი ყურადღება ექცევა ისტორიულ რომანებს. მართალია, ისტორიული რომანი არ შეიძლება ჩვენი სოციალისტური მწერლობის წამყვან დარგად გამოვაცხადოთ, მაგრამ იგი, — როგორც ერთერთი შემავალი ჟანრი საბჭოთა პროზისა, — უნდა განვითარდეს, უნდა აღორძინდეს. ამ მხრივაც პარტიის ისტორიის მოკლე კურსის შესწავლა აიარაღებს მწერალს შორეული წარსულის ღრმა ცოდნით. ის აიარაღებს მწერალს იმის გაგებით, რომ საჭიროა წარსული ცხოვრების გადმოცემაში ყველა მისი დამახასიათებელი მოვლენები და გარემოებანი აღწერო ისე, როგორც ეს იყო მაშინ, ყოველგვარი შეკეთებისა და შესწორების გარეშე, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას შრომამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" გააფართოვა ქართული მწერლობის ასპარეზი ამ მიმართულებით. ამ შრომამ, რომელიც შუქსა ჰფენს ამიერ-კავკასიის ხალხთა ბრძოლას ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელ როლს ამ ბრძოლაში, უდიდესი სტიმული მისცა ქართული მწერლობის შემოქმედებითს მუშაობას.

მეოცე საუკუნის რევოლუციური ლიტერატურის ისტორია ორგანიულ კავშირშია ბოლშევიკური პარტიის ისტორიასთან, მებრძოლი ხალხის ისტორიასთან, მის ცხოვრებასთან და მისწრაფებასთან; ამიტომ ეს ლიტერატურა ამ ხალხის ბრძოლისა და ცხოვრების ესთეტიური გამოხატულება უნდა იყოს.

პარტიის ისტორიის მოკლე კურსის გამოქვეყნებით იწყება აღმავლობის ახალი ერა ქართული მწერლობის ცხოვრებაში. მწერლებმა კარგად უნდა შეისწავლონ ეს ისტორია. ამ მხრივ საბჭოთა მწერლების ორგანიზაციამ ფართოდ უნდა გაშალოს მუშაობა. იგი სათავეში უნდა ჩაუდგეს საბჭოთა მწერლების იდეურ - აღმზრდელობითს მუშაობას. აქ, რასაკვირველია, სწავლების ძველი სკოლარულ - წრეობრივი მეთოდი არ გამოდგება. ფართო გასაქანი უნდა მიეცეს ინდივიდუალურ მუშაობას, რაც მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მწერალს. ენერგიული მუშაობა უნდა ჩაატაროს მწერალთა კავშირის კლუბში ჩამოყალიბებულმა საკონსულტაციო კაბინეტმა მწერლებისათვის კვალიფიციური კონსულტაციის მოწყობისა და მეცნიერულ-პოლიტიკურ წიგნებით მომარაგების გზით. მწერლებში სისტემატიურად უნდა მოეწყოს ლექციები როგორც პარტიის ისტორიის საკითხებზე, ისე მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ცალკეულ შრომებზე.

ამ მიმართულებით მწერალთა კავშირის პარტიულმა ორგანიზაციამ არსებითად უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა. საჭიროა მწერლებს შორის პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის უფრო ფართოდ, უფრო საქმიანად გაშლა, როგორც ამას პარტია მოითხოვს.

პარტიის ისტორიის ცალკეული საკითხების უფრო დეტალურად გაშუქების საქმეში პროპაგანდისტულ-აგიტატორული როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ. ამასთან ერთად მან უნდა იბრძოლოს ქართული ლიტერატურის ისტორიის შექმნისათვის, მისი პერიოდიზაციისათვის, რასაკვირველია, საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის საფუძველზე, რამდენადაც ახალი ქართული ლიტერატურის (XX საუკუნე) ისტორია ორგანულ მთლიანობაშია ბოლშევიკური პარტიის ისტორიასთან. საქ. კ. პ. (ბ) ისტორია ნათლად ხატავს იმავე დროს მთელი ინტელიგენციის იდეურ ევოლუციას და, მაშასადამე, იგი გვაგებინებს მხატვრული ინტელიგენციის განცდებსა და განწყობილებასაც ჩვენი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე. ასეთი ეტაპებია, მაგალითად, ნაროდნიკული ინტელიგენცია გლეხური რევოლუციის წლებში, ინტელიგენცია პირველი რევოლუციის წლებში, ინტელიგენცია რეაქციის წლებში, ინტელიგენცია თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციის დროს და ბოლოს საბჭოთა ინტელიგენციის უდიდესი როლი სოციალიზმის ეპოქაში, რომელიც ესოდენ თანმიმდევრობით დახასიათებულია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში; საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის სახელმძღვანელო წარმოადგენს მკვიდრ თეორიულ ბაზას, რომელზედაც უნდა აშენდეს მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია.

უსათუოდ საყვედური ეთქმის ჩვენს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც გულგრილობასა და ინდიფერენტიზმს იჩენენ პარტიულ-მეცნიერული საკითხებისადმი. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" ნაკლებად აშუქებს თავის ფურცლებზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებს. ლიტერატურული გაზეთი ჩვენი მწერლობის საბრძოლო იარაღი უნდა იყოს, იგი უნდა ეხმარებოდეს და რაზმავდეს მწერლობას ჩვენი პარტიის გარშემო, ყოველდღიური ამოცანების გადაჭრის გარშემო. ჯერჯერობით ჩვენი გაზეთი ამას ვერ დაიკვეხნის. იგი მწერლობის გაზრდილ მოთხოვნილებებს ჩამორჩება. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" პოლიტიკურად უფრო უნდა გამახვილდეს. გაზეთმა თავის ფურცლებზე უნდა გახსნას კონსულტაციის სპეციალური კუთხე, თეორიულ - მეცნიერულ საკითხების გასაშუქებლად. ცუდს არ იზამს რედაქცია, თუ რუსულ „ლიტერატურნაია გაზეტას" მაგალითს გამოიყენებს. ამ მხრივ გაზეთის რედაქციამ არსებითად უნდა გადაახალისოს თავისი მუშაობა.

ჟურნალი „ჩვენი თაობა" კი ლექსებისა და მოთხრობების კრებულადაა გადაქცეული. საჭიროა ჟურნალი „მნათობიც" სისტემატიურად ათავსებდეს წერილებს სოციალურ-პოლიტიკურ და თეორიულ საკითხებზე.

მრავალფეროვანი და მდიდარია ჩვენი ეპოქა. იგი უხვ მასალას იძლევა შემოქმედებისათვის. საბჭოთა ლიტერატურა ყველაზე უფრო მოწინავე ლიტერატურაა მთელს მსოფლიოში, რადგანაც იგი ატარებს კაცობრიობის მოწინავე იდეებს, ლენინისა და სტალინის იდეებს. ჩვენი ქვეყანა წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. ამ დროს ფიზიკური და გონებრივი შრომის გათანასწორების საკითხში, ახალი ადამიანის სულიერი ფორმირების საკითხში საბჭოთა ლიტერატურა უდიდეს როლს თამაშობს. იგი ზრდის მკითხველში საბჭოთა სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულს.

იმ გარემოში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს, კაპიტალისტურ გარემოცვაში, ყველაზე დიდი გრძნობაა სამშობლოსათვის თავდადების გრძნობა. ამ მხრივ ჩვენმა ლიტერატურამ პირველ რიგში უნდა გაამახვილოს თავისი ყურადღება თავდაცვითი თემებზე.

ჩვენმა მწერლობამ ჭეშმარიტად უნდა გაამართლოს ბელადის შეხედულება მხატვრული სიტყვის ოსტატებზე. იგი უნდა გახდეს სოციალისტური ეპოქის კლასიკური ამსახველი. ამაში მდგომარეობს დღეს ქართული მწერლობის ამოცანა.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობის გაუარესება და ფაშისტური ტერორი გერმანიაში

პრაღა, 8 დეკემბერი (საკდესი). გერმანიიდან იუწყებიან, რომ მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, მრეწველობა ნედლეულის დიდ ნაკლებობას განიცდის, დიდი ნაკლებობაა აგრეთვე სურსათ-სანოვაგისა. ამ უკანასკნელ დროს კრუპის საწარმოებში, რურის ოლქში, მასობრივად დაითხოვეს მუშები. ერთ საწარმოში დაითხოვეს ათასზე მეტი კაცი. დათხოვნის ოფიციალური მიზეზია ნედლეულის უქონლობა, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. მთელ რიგ საწარმოთა გადასვლამ გერმანიის მადნის დამუშავებაზე, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს ლითონს, ორი დიდი ბრძმედის მწყობრიდან გამოსვლა გამოიწვია. მუშების ხელფასი გერმანიის მადანზე მუშაობის დროს მკვეთრად მცირდება. მუშებში შემჩნეულია ძლიერი უკმაყოფილება. ესენში (კრუპის საწარმოთა ცენტრი) შრომის ბირჟაზე ათასობით დგანან მუშები და სამუშაოს ელოდებიან.

სუდეტის ოლქში კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტების, კერძოდ კარაქის კატასტროფული ნაკლებობაა.

სასურსათო მაღაზიებს პირდაპირ აწყდებიან მომხმარებლები. მოსახლეობა აშკარად აცხადებს, რომ „ახლანდელი მდგომარეობა უფრო ცუდია, ვიდრე ომის დროს იყო".

გესტაპოს ტერორი მშრომელთა წინააღმდეგ სულ უფროდაუფრო ფართო ხასიათს იღებს. დიუსელდორფსა და ვუპერტალში დაპატიმრებულია რამდენიმე ასეული კაცი, რომლებმაც თავიანთი აზრი გამოსთქვეს ფაშისტური ბარბაროსობისა და ებრაელი მოსახლეობის აბუჩად აგდების წინააღმდეგ. ერთი დიასახლისი დააპატიმრეს მხოლოდ იმისათვის, რომ მან პოგრომის დროს სთქვა: „საბრალო ებრაელები". ქალაქ დიუსელდორფის საავადმყოფოში მიიყვანეს რამდენიმე ათეული ებრაელი, რომლებსაც დათხრილი ჰქონდათ თვალები. საავადმყოფოს მუშაკებმა აშკარად გამოსთქვეს აღშფოთება ფაშისტ მხეცების ბარბაროსობის გამო. ამის შედეგად საავადმყოფოს რამდენიმე თანამშრომელი დააპატიმრეს.

O

ბერლინი, 8 დეკემბერი (საკდესი). ფაშისტური სასამართლოები გერმანიაში უაღრესი დატვირთვით მუშაობენ. მეოთხე დღეა, რაც ბერლინში მიმდინარეობს ანტიფაშისტთა მრავალი ჯგუფის საქმეების გარჩევა. ეს ანტიფაშისტები „ინტერნაციონალურ სოციალისტურ მებრძოლ კავშირს" ეკუთვნიან. გუშინდელ სხდომაზე ხანგრძლივი საკატორღო მუშაობა მიუსაჯეს სამ კაცს: ჰუგო შმიტს, იოჰან გარნიშს და ალვინ კეცლერს. როგორც გერმანიის პრესა იუწყება, ყველა ისინი ეიზენახიდან არიან და ანტიფაშისტურ მუშაობას ეწეოდნენ ფაშისტური ორგანიზაციის შიგნით.

დღეს ფაშისტური სასამართლო არჩევს ანტიფაშისტთა კიდევ ერთი ჯგუფის საქმეს. ეს ანტიფაშისტები ჰამბურგსა და ბრემენში მუშაობდნენ.

ბერლინის მეორე სასამართლოში სამი კვირაა ირჩევა 28 წლის ოტო შრედერის საქმე. ოტო შრედერი „წითელფრონტელთა კავშირის" ყოფილი წევრია და ფაშისტების წინააღმდეგ გამოდიოდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ისინი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგებოდნენ. გუშინ საბოლოო სხდომაზე პროკურორმა შრედერის სიკვდილით დასჯა მოითხოვა.

საომარი მოქმედების მიმოხილვა ესპანეთში

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ესპანეთში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებს. მეამბოხეთა და ინტერვენტთა ცალკეული ცდები იერიში მიეტანათ რესპუბლიკელთა პოზიციების წინააღმდეგ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ფრონტებზე წარმატებით იქნა მოგერიებული რესპუბლიკელთა მიერ.

თავიანთი უძლურებით გაბრაზებული ფაშისტები განაგრძობენ მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების, სკოლებისა და ჰოსპიტლების სასტიკ ბომბარდირებას; ფაშისტთა თვითმფრინავები ყუმბარებს უშენენ სავაჭრო გემებს, ტყვიამფრქვევებით ხვრეტენ სამგზავრო მატარებლებს.

ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს ყოველდღიურ ნაკრებ ცნობებში მოყვანილია ფაშისტთა ავიაციის უმაგალითო მხეცობათა მრავალრიცხოვანი ფაქტები.

24 ნოემბერს იტალია-გერმანიის ავიაციამ თერთმეტი თავდასხმა მოახდინა ბარსელონაზე. მოკლულია 48 და დაჭრილია 134 კაცი.

მეამბოხეთა და ინტერვენტთა თვითმფრინავების მიერ უმწეო მოსახლეობის ბარბაროსულმა ბომბარდირებამ ამჟამად „ორგანიზებული" ხასიათი მიიღო. ამ დღეებში ესპანელ მეამბოხეთა რადიოსადგური თავხედურად იმუქრებოდა, რომ უახლოეს დროში დაიწყება რესპუბლიკური ესპანეთის 137 ქალაქისა და სოფლის ბომბარდირება. ფაშისტებმა უკვე დაიწყეს თავისი ბანდიტური განზრახვის განხორციელება. 3 დეკემბერს გერმანიის 30 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ქალაქ ჩივას (ვალენსიის რაიონი) და 120 ასკილოგრამიანი ყუმბარა გადმოჰყარა; 4 დეკემბერს იტალიის 26 თვითმფრინავმა დაახლოებით 200 ყუმბარა ჩამოჰყარა ვალენსიის ნავსადგურში; 5 დეკემბერს გერმანიის 29 თვითმფრინავმა თავდასხმები მოახდინა ვალენსიის პროვინციის მთელ რიგ სოფლებზე. მოკლულია ათობით და დაჭრილია ასობით მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის ბევრია ქალი და ბავშვი. ეს ხდება მაშინ, როდესაც უკვე ძალაშია შესული ინგლის-იტალიის შეთანხმება, რომლის ძირითად პირობას წარმოადგენს ესპანეთიდან ინტერვენტთა შეიარაღებული ძალების გაწვევა.

მაგრამ ფაშისტებს არამც თუ არ გაჰყავთ ჯარები, არამედ აშკარად განაგრძობენ ინტერვენციას ესპანეთში.

შეიძლება თუ არა ესპანეთიდან ინტერვენტთა შეიარაღებული ძალების ნამდვილ გაწვევად ჩაითვალოს 10 ათასი იტალიელი ინვალიდის ეგრეთწოდებული ევაკუაცია ესპანეთის ფრონტებიდან, როდესაც დანამდვილებით ცნობილია, რომ ამ ევაკუაციის შემდეგ ფრანკოს დარჩა 90 ათასი იტალიელი ჯარისკაცი და 1.300-ზე მეტი სამხედრო თვითმფრინავი; როდესაც ცნობილია, რომ გერმანია და იტალია ერთი დღითაც არ სწყვეტენ ახალ-ახალი მაშველი ძალების გაგზავნას ფრანკოს დასახმარებლად.

ესპანის საგენტო იუწყება, რომ მაროკოში ფაშისტებმა ფრონტზე გასაგზავნად მომზადეს 60 ათასი ჯარისკაცი. ბილბაოში, ნავსადგურ მალაგაში გერმანიის სამხედრო ხომალდებმა და იტალიის გემებმა ნოემბრის უკანასკნელ დღეებში გადმოტვირთეს რამდენიმე ასეული ტონა სამხედრო საჭურველი, ტანკები, ჯავშნიანი ავტომობილები, თვითმფრინავები. ესპანის საგენტოს ცნობის მიხედვით, კადიქსში (ესპანეთის სამხრეთით) და ლარაჩეში (ესპანეთის მაროკო) ამას წინათ გადმოტვირთეს დიდძალი საარტილერიო ქონება, საბარგო ავტომობილები, შაშხანები და მეამბოხეებისათვის დანიშნული სხვა სამხედრო მასალა.

გამორკვეულია, რომ ბასკთა ქვეყნის ტერიტორიაზე, გერმანელ მფრინავთა და არტილერისტთა გარდა, იმყოფება კიდევ 10.500 ჯარისკაცი, რომლებიც ტექნიკურ ერთეულებს ეკუთვნიან. გერმანელებმა ბასკთა ქვეყანაში ააგეს 18 აეროდრომი და ესპანეთის ჩრდილოეთით შექმნეს წყალქვეშა ნავების ორი ბაზა.

მაგრამ ვერც ის გარემოება, რომ გერმანია და იტალია განუწყვეტლივ უგზავნიან გენერალ ფრანკოს მაშველ ძალებს, ვერც ფაშისტთა ავიაციის მხეცობანი ვერ გასტეხენ გმირული ესპანელი ხალხის მისწრაფებას ბრძოლისაკენ რესპუბლიკური ესპანეთის საბოლოო გამარჯვებისათვის.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის მიერ ჩუნცინელი, შანხაელი და ლონდონელი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ცენტრალური ჩინეთის ფრონტზე ისე, როგორც წინათ, დიდი ოპერაციები არ ხდება. 5 დეკემბერს იოჯოუს ჩრდილოეთით იაპონიის რაზმსა და ჩინეთის ერთეულებს შორის მოხდა შეტაკება, რაც ორ საათს გაგრძელდა.

დეანის რაიონში ჩინეთის ჯარისკაცთა ასეულმა 4 დეკემბერს გადალახა სიუხე და იერიში მიიტანა იაპონელთა რაზმის წინააღმდეგ 15 კილომეტრის მანძილზე სადგურ იუნსიუს ჩრდილოეთ-დასავლეთით. ბრძოლამ ორ საათს გასტანა. იაპონელებმა მნიშვნელოვანი ზარალი ნახეს.

კანტონის ჩრდილოეთით ბრძოლები სწარმოებს ტაიპინჩენის სამხრეთ-დასავლეთით. 6 დეკემბერს იაპონელები, მიიღეს რა მნიშვნელოვანი მაშველი ძალები, შეეცადნენ დაებრუნებინათ ტაიპინჩენთან დაკარგული პოზიციები. შეტევაში მონაწილეობდნენ ცხენოსანი ჯარი და ტანკები. ჩინელთა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიამ გაანადგურა იაპონელთა 2 ტანკი. ერთდროულად ჩინეთის რაზმმა იერიში მიიტანა იაპონელების მარჯვენა ფლანგზე და აიძულა ისინი უკან დაეხიათ. იაპონელებმა მოკლულების სახით დაჰკარგეს 50-ზე მეტი კაცი. ჩინელებმა ხელთ იგდეს 2 ტყვიამფრქვევი და რამდენიმე ათეული შაშხანა.

კანტონის აღმოსავლეთით ჩინეთის ჯარმა მიაღწია შილუნამდე. გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს ძენჩენის მახლობლად.

კანტონის დასავლეთით იაპონიის ჯარმა, რომელიც განლაგებული იყო სამშუისთან, უკანასკნელი დღეების განმავლობაში მიიღო მნიშვნელოვანი მაშველი ძალები.

კიდევ მოვიდა 3 ათასი ქვეითი ჯარისკაცი, 1 ცხენოსანი და 1 საარტილერიო ერთეული. 6 დეკემბერს აქ დიდი ბრძოლა მოხდა, რომელსაც მდგომარეობა არ შეუცვლია ამ სექტორში. კანტონის სამხრეთით, მდინარე მარგალიტის შესართავში, იაპონელები განაგრძობენ წინსვლას ციანმინისაკენ.

ფაშისტური „არჩევნები"

პრაღა, 8 დეკემბერი (საკდესი). ოფიციალურ ცნობათა მიხედვით, მორავიის მთელ რიგ პროლეტარულ რაიონებში (რომლებიც ოკუპირებულია გერმანიის მიერ) გერმანიის რაიხსტაგში დამატებითი „არჩევნების" დროს, 4 დეკემბერს, ჩაგდებულ იქნა დიდძალი ბიულეტენი პასუხით „არა" (როგორც ცნობილია, ამომრჩეველს უნდა ეპასუხნა „ჰო" ან „არა" კითხვაზე: ესალმება თუ არა იგი გერმანიასთან შეერთებას).

„არჩევნები" სუდეტის ოლქში ჩატარდა მეიერიშეთა და მცველთა (სს) მხრივ ტერორის პირობებში და არჩევნების საიდუმლოების სრული დარღვევით. ამას მოწმობენ შემდეგი ფაქტები: ამომრჩეველთა გამოცხადებას თვალყურს ადევნებდნენ მეიერიშეები (სა) და მცველები (სს). როდესაც ამომრჩეველი სადგომში შედიოდა, ფაშისტი მოხელე უცხადებდა მას: „ვისაც რაიმე საიდუმლო აქვს, შეუძლია ბიულეტენი ოეჯის იქით შეავსოს, ვინც ღიად აძლევს ხმას მას შეუძლია ჩემს მაგიდაზე შეავსოს ბიულეტენი". ამომრჩევლებზე ამ გზით მოხდენილი ზეგავლენის მიუხედავად, ათასობით ანტიფაშისტი ბიულეტენში „არას" სწერდა.

ინგლისის კოლონიური პოლიტიკის შესახებ

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 8 დეკემბერი (საკდესი). თემთა პალატის გუშინდელ სხდომაზე გაიმართა კამათი ინგლისის კოლონიალური პოლიტიკის შესახებ.

ლეიბორისტმა ნოელ ბეკერმა თემთა პალატაში დასამტკიცებლად შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ „არ შეიძლება მოხდეს საქვემანდატო სამფლობელოების რაიმე გადანაწილება ამ ტერიტორიების მოსახლეობის თანხმობის გარეშე".

შეეხო რა ჰიტლერის მოთხოვნებს გერმანიისათვის კოლონიების დაბრუნების შესახებ ნოელ ბეკერმა განაცხადა: „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ სუსტი ხალხების ბედი ჩავაბაროთ ისეთ ადამიანს, რომელიც ფეხით სთელავს კაცობრიობის ყველა კანონს".

კამათში გამოსულმა კოლონიებისა და დომინიონების საქმეთა მინისტრმა მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული არ აქვს გადასცეს სხვა ქვეყანას რომელიმე თავისი კოლონია ან საქვემანდატო ტერიტორია. „ხოლო თუ ოდესმე წამოიჭრება საკითხი კოლონიებისა და საქვემანდატო ტერიტორიების შესახებ, მაშინ ეს საკითხი შეეხება სხვა ქვეყნებს და საკითხი განხილულ უნდა იქნას დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად".

ოპოზიციის წინადადება უარყოფილ იქნა 253 ხმის უმრავლესობით 127 ხმის წინააღმდეგ.

ჩაიშალა იაპონელთა ცდა

ჩუნცინი, 8 დეკემბერი (საკდესი). ბეიპინიდან იუწყებიან, რომ უ პეი-ფუმ უარი განაცხადა იაპონიის წინადადებაზე სათავეში ჩასდგომოდა მარიონეტულ „მთავრობას", რომელიც ბეიპინში იქმნება.

იაპონელთა მხრივ დევნის შიშით უ პეი-ფუ ფარულად გადასახლდა საელჩოთა უბნის ტერიტორიაზე.

ბათუმი. მანდარინის დატვირთვა გემ „ბოლშევიკზე" საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში გასაგზავნად
ფოტო სტოლიაროვისა
(„სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

საბინაო ფონდის სავალდებულო-სახელმწიფო დაზღვევა

1937 წლამდე საბჭოთა კავშირში ახალი საბინაო ფონდის აგებაზე დახარჯული იყო 12 მილიარდნახევარი მანეთი. ამ თანხით ჩვენს საბინაო ფონდს 54 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი შეემატა.

იმ მიზნით, რომ ეს ფონდი დაცულ იქნას ყველა გაუთვალისწინებელი სტიქიური უბედურებისაგან (ხანძარი, მიწისძვრა, მეწყერი, ქარიშხალი და სხვ.), საკავშირო სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება საბინაო ფონდის სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შესახებ. წარმოება-დაწესებულებები, საბჭოები და საზოგადოებები მოვალენი არიან დააზღვიონ მთელი თავისი ქონება—საცხოვრებელი სახლები, მათ შორის დროებითი ბარაკები, სამეურნეო ხასიათის ნაგებობანი და სხვ.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ დამზღვევლებს უნდა აუნაზღაუროს მთელი ზარალი, თუ დაზღვეული ქონება დაიღუპება რაიმე სტიქიური მოვლენის შედეგად. თუ ხანძრის გაჩენისას საჭირო გახდა მეზობლად მდებარე სახლის დანგრევა, ამ ზარალსაც აანაზღაურებს სახელმწიფო.

საზღვევო გადასახადი საბინაო ფონდზე დაწესებულია: ქვის შენობებზე 8 კაპ. საზღვევო თანხის ყოველ ას მანეთზე. სხვა მასალისაგან აგებულ შენობებზე სხვადასხვა გადასახადია დაწესებული (დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სახდაზღვევის ყველა ინსპექტორთან).

გამოფენა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მიხედვით

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი მასალები დალაგებულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" თავების მიხედვით. ჯერჯერობით გამოფენილია მასალები პირველი თავიდან მეხუთე თავამდე.

გამოფენა იხსნება განყოფილებით, სადაც ნაჩვენებია ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში. შემდეგ განყოფილებებში ნაჩვენებია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა. პარტიის შიგნით ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციების გაჩენა; მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომის და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში; და ბოლოს მენშევიკები და ბოლშევიკები სტოლიპინის რეაქციის პერიოდში; ბოლშევიკების ჩამოყალიბება დამოუკიდებელ მარქსისტულ პარტიად.

აქვე გამოფენილია სათანადო ლიტერატურა (ლენინისა და სტალინის ძირითადი შრომები) გვერდების მითითებით, სადაც მოცემულია ძვირფასი მასალა ბოლშევიკების გმირულ ბრძოლებზე რეაქციის წლებში.

ამ საინტერესო გამოფენას ყოველდღე დიდძალი სტუდენტობა ათვალიერებს.

პოეტ ნიზამი განჯევის სამშობლოში

კიროვაბადი, (აზერბაიჯანის სსრ), (საკდესი). 1941 წელს 800 წელი სრულდება დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯევის დაბადების დღიდან. ის დაიბადა, ცხოვრობდა და გარდაიცვალა ქალაქ განჯაში, ამჟამად კიროვაბადში.

ნიზამის იუბილე აღნიშნული იქნება, როგორც აზერბაიჯანის ხალხის დიდი დღესასწაული. რესპუბლიკის მწერლებმა და სამეცნიერო დაწესებულებებმა უკვე გაშალეს მზადება იუბილესათვის. კიროვაბადის მოსახლეობამ შეინარჩუნა ხალხური თქმულებანი ნიზამის შესახებ. საბჭოთა მწერლების კავშირის ფილიალი კიროვაბადში ამჟამად ამ თქმულებათა შეგროვებაზე მუშაობს. კიროვაბადის მწერლები იუბილესათვის ამზადებენ ლექსებისა და მოთხრობების კრებულს სახელწოდებით „ნიზამის სამშობლოს მწერლები".

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალი აზერბაიჯანის ხალხთა ისტორიის მუზეუმთან ერთად გათხრებს აწარმოებს კიროვაბადში ძველი განჯის ტერიტორიაზე, პოეტის საფლავის მახლობლად. როგორც გათხრა გვიჩვენებს, ქალაქის საერთო ფართობი 8-9 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა. განჯის ცენტრს გარშემორტყმული ჰქონდა ციხის ქვის კედლები, რომლებმაც დღევანდლამდე შეინარჩუნეს თავისი სიმაგრე. ციხის კედლების კუთხეებში მოთავსებულია დიდი კოშკები, ხოლო კედლის ყოველ 22 მეტრზე—მცირე კოშკები. გათხრის დროს აღმოჩენილ იქნა მოსაპირკეთებელი საშენი მასალის დიდძალი ნიმუშები, ძველებური ფული, ჭურჭელი. გათხრა უმდიდრეს ისტორიულ მასალას მისცემს ნიზამი განჯევისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ გამოფენას, რომელიც იუბილეს დღეებში გაიხსნება.

ავტომატური სასწორის ახალი ნიმუში

მოსკოვი, 9 დეკემბერი (საკდესი). ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ქარხანაში (მოსკოვი) დამზადებულია ფხვიერი პროდუქტების — ბურღულის, შაქრის ფხვნილისა და სხვ. ასაწონი სასწორის საცდელი ნიმუშები. კონსტრუქცია შემუშავებულია გამომგონებელ ჩეკალდინის მიერ. სასწორის მექანიზმი მოქმედებაში მოჰყავს ასაწონი პროდუქტების სიმძიმის ძალას ელექტროენერგიის დაუხარჯავად. ახალი სასწორი გამოყენებულ იქნება ბაზებსა და მაღაზიებში საქონლის წინასწარი აწონისათვის. ნაყოფიერება უდრის 25-მდე აწონას წუთში.

მარცხნიდან მარჯვნივ: ყირა ცალხელზე (ვ. ჟურავლიოვა), აკრობატული ვარჯიში (სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ქალი ი. წერეთელი და საქართველოს რეკორდსმენი კალმახელიძე); აკრობატული წყობის პირამიდი

თბილისი. შაუმიანის ქუჩა. სომხური დრამის თეატრი (მარცხნივ)
(„სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

სამი ახალი სასკოლო შენობა

თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების დავალებით თბილმშენი შეუდგა დედაქალაქში სამი ახალი ოთხ-ოთხ სართულიანი სასკოლო შენობის აგებას. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ეს მშენებლობა სამი მილიონი მანეთი დაჯდება.

ახალ სასკოლო შენობებს აგებენ: პრესის ქუჩაზე (კიროვის რაიონი), კომკავშირელთა ქუჩაზე (ნავთლუღი) და მეოთხე ახალშენის ქუჩაზე (ორჯონიკიძის რაიონი, საბურთალო). თვითეულ შენობას ექნება 22 საკლასო ოთახი 880 მოწაფისათვის. ახალ სკოლებს ექნებათ გამწვანებული და კულტურულად მოწყობილი ეზოები. ახალი სასკოლო შენობების აგება 1939 წლის ივლისისათვის დამთავრდება.

ახალი ტროლეიბუსები

ამ დღეებში თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტმა მიიღო ტექნიკურად გაუმჯობესებული ოთხი ახალი ტროლეიბუსი.

ამჟამად ტრესტი აწარმოებს მათს შემოწმებას, რაც უმოკლეს ვადაში დამთავრდება.

შემოწმების შემდეგ ტროლეიბუსებს გაუშვებენ ხაზზე საექსპლოატაციოდ.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

10 დეკემბერს:

1. ამხ. ტალახაძის მოხსენება აგიტატორებისათვის. რუსულ ენაზე. თემა: ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა ქალ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
2. ინდივიდუალური კონსულტაცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაზე. ქართულ ენაზე — ამხ. მოისწრაფიშვილი სალ. 8-დან 11 საათამდე. რუსულ ენაზე — ამხ. კანტერე სალ. 8-დან 11 საათამდე.
3. პროფესორ ათაბეკოვის ლექცია ინტელიგენციისათვის. თემა: ჩინეთის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა. რუსულ ენაზე, საღამოს 7½ საათზე. ლექცია შესდგება საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომ. რაიკომის პარტკაბინეტის შენობაში.

ქვანახშირი და მარგანეცი

8 დეკემბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1012	1238	122,3
ტყვარჩელი	732	769	105
ჭიათურა	5530	4894	88

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

10/XII წარმოდგენა 68 უდანაშაულოდ დამნაშავენი
11/XII წარმოდგენა 69 ოტელო
12/XII წარმოდგენა 70 ფოლადაური

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის
სახელმწიფო თეატრი

10/XII კოლმეურნის ქორწინება
11/XII შური
12/XII დილით კოლმეურნის ქორწინება

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

10/XII მუდმ. ადგ. ტალ. № 44 დაისი
11/XII მუდმ. ადგ. ტალ. № 45 სევილიელი დალაქი

დასაწყისი 8 საათზე

ტრამვაის წლიური ბილეთების შესახებ
ქალ. თბილისის რკ. გზების და ტროლეიბუსების დირექცია
ამით აცხადებს, რომ 1939 წ. იგი უშვებს
ტრამვაის წლიურ ფასიან ბილეთებს
მხოლოდ უკანა ბაქნიდან ასვლის უფლებით, რისთვისაც იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც სურთ შეიძინონ ბილეთები თავის დროზე უნდა წარმოადგინონ დაკვეთები მათთვის საჭირო ბილეთების რაოდენობაზე ღირებულების შეტანით კომბანკში № 16 ანგარიშზე, ანდა ტრესტის სალაროში გადახდის შემდგომ (ტელმანის ქ. № 8).
ბილეთი ღირს—სახელობითი . . 333 მან.
„ „ — უსახელო . . . 503 მან.
ბილეთების თავის დროზე დამზადების და გაცემის მიზნით ორგანიზაციებმა არაუგვიანეს ა. წ. 20/XII-სა, უნდა წარმოადგინონ ტრესტში დაკვეთები ამხ. თ. თურქაძესთან—სახელობითი ბილეთებისათვის საჭირო იქნება თითო ცალი ახალი ფოტოსურათი.
დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ყოველგვარი ოპერაციები წლიური ბილეთების გაცემაზე 1938 წლის ანგარიშში შეწყვეტილი იქნება.
თბ. ქ. რკ. გზ. და ტროლეიბუსების სამმართველოს
1386 მმართველი გოგოძე.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორია"
მოკლე კურსი
სახელგამმა მიიღო „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" რუსულ ენაზე გაუმჯობესებული გაფორმებით, სპეციალურად ბიბლიოთეკებისათვის.
ყველა ტიპის ბიბლიოთეკებმა სასწრაფოდ უნდა აცნობონ სახელგამის ბიბკოლექტორს (თბილისი. რუსთაველის პროსპექტი, 41) ზუსტი მისამართი აღნიშნული წიგნის მათთვის გადასაგზავნად დაწესებულ რაოდენობით.
წიგნები გაგზავნილი იქნება ფასდადებით.
89 სახელგამი.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის მკურნალობა.
ავადმყოფების მიღება 6-დან 8 საათამდე
ნინოშვილის ქ. (ყოფ. ალექსანდროვის), № 5.
5—2 2190

საქართველოს კურორტთა მთ. სამმართველოს სისტემის შენაერთი ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი (ათას მანეთებში) პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	36.351,2	1	საწესდებო ფონდი	34.310,8
2	მასალის და ნედლეულის მარაგი	2.310,4	2	ფონდები და რეზერვები	1.69[illegible],6
3	წარმოება და ექსპლოატაცია	73,5	3	შემოსავალი მომავალი პერიოდის	248,1
4	საქონელი და მზა ნაწარმი	1.168,1	4	გრძელვადიანი სესხები	5.518,7
5	სარეალიზაციოდ გამოყოფილი ძირ. საშ.	100,0	5	ანგარიშსწორებანი	1.836,1
6	ფულადი საშუალებანი	1.89[illegible],8	6	წმინდა მოგება	796,8
7	ანგარიშსწორებანი	2.239,9			
8	მომავალი დროის ხარჯები	104,7			
9	ურთიერთანგარიშსწორება კაპმშენებ. ბალანსთან	162,5			
	ბალანსი	44.409,1		ბალანსი	44.409,1

ბალანსგარეშე ანგარიშები.

1.	ამორტიზებული ნაწილი ძირით. საშუალ.	718,7	1.	გაცვეთა ძირითად საშუალებებისა	718,7

მოგება-ზარალის ანგარიში.

1.	სხვადასხვა დანაკარგები	831,[illegible]	1.	შემოსავალი რეალიზაციით (სალდო)	471,9
2.	წმინდა მოგება	796,8	2.	დანარჩენი დაგროვებანი	1.156,1
	ბალანსი	1.628,0		ბალანსი	1.628,0

კურ. მთ. სამ. უფროსი ექ. **ფალავა.** მთავარი ბუღალტერი **ორჯონიკიძე.**

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქართველოს სსრ ჯანსახკომის საბალანსო კომისიის მიერ 1938 წ. 5/X (ოქმი № 14).

1310 საქ. ჯანსახკ. საგ.-საფ. სამ. უფროსი **ჯიბუტი.**

სახცირკი, ტელ. 3-11-44 დღეს
განახლებული მრავალფეროვანი პროგრამა 3 მოქმედებად. ახალი ნომრები. არტისტების ანციფეროვების გამოსვლა ჟოკეი ხერუი, ოსტატები პოლდი და მთელი რიგი სხვა ნომრები
დასაწყ. სალ. 8 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 ს-მდე და 5 ს-დან.
12 დეკემბერს დღისით წარმოდგენა. ახალი ნომრები. მალე ვლადიმერ დუროვი.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექცია, მთელ კოლექტივთან ერთად ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ამავე თეატრის მსახიობ

ნიკო ილურიძის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი ქალაქის მე-2 საავადმყოფოს პროზექტურაში 10 და 11/XII-ს საღამოს 6 საათზე

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ე—232